



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

დაჩი სახლთხუციშვილი

სადაზვერვო საზოგადოების როლი სახელმწიფოს მართვაში

საქართველოს რეალობა, შესაძლებლობები და ლიმიტები

„წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თბილისი

0156

საქართველო

ავტორი: დაჩი სახლთხუციშვილი / /

ნაშრომის საიდენტიფიკაციო ნომერი:

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით დაჩი სახლთხუციშვილის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: **სადაზვერვო საზოგადოების როლი სახელმწიფოს მართვაში: საქართველოს რეალობა, შესაძლებლობები და ლიმიტები** და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი: ... სექტემბერი, 2021 წელი

ხელმძღვანელი: / /

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების

სამსახურის უფროსი: / /

რეცენზენტი: / /

რეზიუმე

მოცემული ნაშრომის მთავარ იდეას წარმოადგენს საქართველოს სადაზვერვო სისტემის შეფასება - თუ რა როლი უკავია მას დღევანდელ სახელმწიფო მონაცემებში და რა როლი უნდა ჰქონდეს მისი ამოცანების, შესაძლებლობებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. ამ იდეის ფარგლებში, შესწავლილია სადაზვერვო სწავლებების თეორია, საერთაშორისო პრაქტიკა ლიტერატურისა და ღია წყაროების გამოყენებით და საქართველოს რეალობა და გამოცდილება. ეს უკანასკნელი მიღწეულია, საჯარო ინფორმაციისა (ოფიციალური განცხადებები, საარქივო ჩანაწერები და სხვა) და კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ყოფილ და მოქმედ სფეროს სპეც. სამსახურების თანამშრომლებთან და დარგის სპეციალისტებთან.

ნაშრომში თავდაპირველად მიმოხილულია სადაზვერვო სამსახურებისა და სისტემის ისტორია, როგორ და რა ფორმით ეყრებოდა საფუძველი ხსენებული სისტემის განვითარებას. რის შემდეგაც განხილულია ამჟამინდელი ძირითადი გვარეობები სადაზვერვო საქმიანობაში, რომლებიც საერთოა სხვადასხვა ტიპისა და მონაცემის სადაზვერვო სამსახურებში. ისტორიისა და გვარეობების გადმოცემას, თან მოსდევს იმ თეორიების გამოკვლევა, რომლებიც დამკვირდებულია აკადემიურ წრეებში სადაზვერვო სისტემის როლთან დაკავშირებით. სწორედ ამ თეორიული ბაზის საფუძველზე, ნაშრომში ფასდება საქართველოს სადაზვერვო საზოგადოების მდგომარეობა, მისი ნაკლოვანებები და პერსპექტივები.

თეორიული ასპექტების განხილვის შემდეგ, ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს სადაზვერვო სამსახურების შესახებ სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია - მისი ისტორია, ამჟამინდელი სტრუქტურა, საკანონმდებლო მონესრივება და ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ეს უკანასკნელი ეხება როგორც წარმატებულ ოპერაციებსა და ორგანიზაციულ გადანაცვებებს, ასევე ჩავარდნებს. აღნიშნული თავი ემსახურება საქართველოს სადაზვერვო სისტემის არსებული რეალობის შესწავლას, პრობლემების იდენტიფიცირებას, როგორც სტრუქტურული ისე საოპერაციო თვალსაზრისით.

ნაშრომში, საქართველოს რეალობის შესწავლის შემდგომ, გადმოცემულია ის თანამედროვე ტენდენციები, რომლებმაც ევოლუციური ცვლილებები შეიტანეს სფეროში და ახალი შესაძლებლობები გააჩინა სადაზვერვო საქმიანობისთვის, მათ შორის საქართველოს სადაზვერვო სამსახურებისთვის, რაც გათვალისწინებულია შემდგომ თავში განხილულ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

თანამედროვე ტენდენციების გამოკვლევის კვალდაკვალ, ნაშრომში წარმოდგენილია ის გამოწვევები რომლის წინაშეც დგას ქართული სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება და შესაბამისად საქართველოს დაზვერვის სისტემა. ამ თავში აქტიურადაა გამოყენებული კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები, რომლითაც ავტორი ახდენს თეორიული პრიზმით საქართველოს სადაზვერვო სამსახურების ეფექტურობის შეფასებას, ცალკეული პარამეტრების დონეზე. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და სხვა ოფიციალური დარგობრივი დოკუმენტების გამოყენებით, ხდება საქართველოს უსაფრთხოების გარემოს შეფასება და ეროვნული ინტერესების განხილვა ქვეყნისთვის დაზვერვის როლის შემდგომ შეფასებლად.

გარდა გამოწვევებისა, შემდგომ თავში საუბარია იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლის გათვალისწინებითაც, საქართველოს სადაზვერვო სისტემას გააჩნია გარკვეული ლიმიტები საოპერაციო დონეზე. აღნიშნული თავით წარმოჩინებულია ის ობიექტური გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია დაზვერვის როლის განხილვისას, მისი სამოქმედო არეალის განსასაზღვრად.

სადაზვერვო სამსახურის გარშემო არსებული ლიმიტების თავის შემდგომ, ყურადღებას გამახვილებულია იმ შესაძლებლობებზე, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის, ტენდენციებისა და საქართველოს პოლიტ-ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით, გააჩნია საქართველოს სადაზვერვო სისტემას გამოწვევებისა და ლიმიტების საპასუხოდ.

დასკვნის სახით, ავტორი საუბრობს, ნაშრომში გადმოცემული თეორიული და პრაქტიკული მასალის გადმოსახედიდან საქართველოს სახელმწიფო მართვაში სადაზვერვო სისტემისა და შესაბამისი უწყებების ამჟამინდელ როლზე. ასევე, აღწერილია არსებულ სადაზვერვო სისტემაში იდენტიფიცირებული პრობლემები და გამოწვევები. ნაშრომის მიზნურულს ავტორის მიერ შემოთავაზებულია გადაჭრის შესაძლო ვარიანტები და მის მიერ ყურადღებაა გამახვილებული სისტემის პერსპექტივებზე.

Resume

The main idea of this paper is to assess the intelligence system of Georgia - what role it plays in the current state organization and what role it should play in terms of its tasks, opportunities and challenges. Within the framework of this idea, the theory of intelligence training, international practice, using literature and open sources, and the reality and experience of Georgia are researched. The latter is achieved on the basis of public information (official statements, archival records, etc.) and interviews conducted within the framework of the research with former and active service staff and field specialists.

The paper first reviews the history of the intelligence services and the system, how and in what form the foundation of the mentioned system was laid. It then discusses the current major genealogies in intelligence activities that are common to different types and arrangements of intelligence services. The presentation of history and genealogies is accompanied by an examination of the theories that have been observed regarding the role of the intelligence system in academia. Based on this theoretical basis, the paper assesses the state of the Georgian intelligence community, its shortcomings and prospects.

After discussing the theoretical aspects, the paper presents various types of information about the Georgian intelligence services - its history, current structure, legislative regulation and the experience gained in the history of independent Georgia. The latter applies to both successful operations and organizational decisions as well as failures. This chapter serves to study the current reality of the Georgian intelligence system, to identify problems, both structurally and operationally.

After studying the reality of Georgia, the paper presents the modern trends that have made evolutionary changes in the field and created new opportunities for intelligence activities, including the Georgian intelligence services, which are intended to address the challenges discussed later.

Following the study of modern trends, the paper presents the challenges faced by the national security of the Georgian state and, consequently, the Georgian intelligence system. This chapter actively uses the results of the interviews conducted within the framework of the research, by which the author evaluates the effectiveness of the Georgian intelligence services through a theoretical prism, at the level of individual parameters. Using the National Security Concept and other official sectoral documents, Georgia's security environment is

assessed and national interests are discussed to further assess the role of intelligence for the country.

In addition to the challenges, the following chapter discusses the political and economic factors that take into account the Georgian intelligence system having certain limits at the operational level. This chapter presents the objective circumstances that are important in considering the role of intelligence in determining its scope.

Following the limits of the existing intelligence service, the focus is on the capabilities of the Georgian intelligence system in responding to challenges and limits, taking into account international practice, trends and the political and economic reality of Georgia.

In conclusion, the author speaks from the perspective of the theoretical and practical material presented in the paper on the current role of the intelligence system and relevant agencies in the state management of Georgia. Also, the problems and challenges identified in the existing intelligence system are described. At the end of the paper, the author proposes possible solutions and focuses on the perspectives of the system.

სარჩევი

რეზიუმე.....	2
Resume	4
შესავალი.....	7
სადაზვერვო საზოგადოება	9
ისტორია	9
გვარეობები.....	13
როლი.....	15
ქართული სადაზვერვო სამსახურები.....	22
ისტორია	22
ამჟამინდელი ინსტიტუტები	24
ზედამხედველობის და კონტროლის ბერკეტები.....	28
გამოცდილება.....	31
თანამედროვე ტენდენციები	40
OSINT – DarkWeb, SOCMINT, Big Data და AI	40
კიბერ დაზვერვა	44
შესაძლებლობები და გამოწვევები ქართული ინსტიტუციებისთვის	48
უსაფრთხოების გარემო და პრიორიტეტები	48
საქართველოს სადაზვერვო საზოგადოების შეფასება	54
გამოწვევები	58
შეზღუდვები.....	62
შესაძლებლობები	64
დასკვნა	66
ბიბლიოგრაფია.....	68

შესავალი

ეროვნული უსაფრთხოება, თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. აღნიშნული პოლიტიკური მიზანი სხვადასხვა მეთოდებითა და ბერკეტებით მიიღწევა. ერთ-ერთი ასეთი ინსტრუმენტი სადაზვერვო სისტემაა, რომელიც სახელმწიფოთა მიხედვით განსხვავდება სტრუქტურულად და ამოცანებით. მიუხედავად ამგვარი სხვაობებისა, აკადემიურ სივრცეებში ჩამოყალიბდა ზოგადი საზომები, თეორიები და შეხედულებები, ხსენებული სისტემის შესაფასებლად.

სადაზვერვო სისტემას და ზოგადად სადაზვერვო საქმიანობას მიიჩნევენ რესურსების დამზოგველ საშუალებას, ვინაიდან იგი ემსახურება ხელისუფლებისთვის მოსალოდნელი რისკების პროგნოზირებას, საფრთხეების საფრთხეების წინმსწრებით გამოვლენასა და საიდუმლოებების დაცვას. ეფექტური დაზვერვის პირობებში, სახელმწიფო საფრთხესა და გამონვევებს მომზადებული ხვდება, წარმატებით ახორციელებს დაგეგმილ პოლიტიკას და ყოველივე ამის შედეგად მაქსიმალურად ოპტიმალურად იყენებს მის ხელთ არსებულ რესურსს.

სადაზვერვო სისტემის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა გადანყვეტილების მიმღებთა და შესაბამისი ხელმძღვანელ პირთა კვალიფიკაცია, რათა ზუსტად მოხდეს სადაზვერვო სისტემისთვის კომპეტენციის განსაზღვრა და შესაბამისი ამოცანების დასმა მის წინაშე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოვანესია აკადემიური სივრცეში დარგის გარშემო ინფორმაციის და ცოდნების დაგროვება.

მიუხედავად, არაერთი ცვლილებისა, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არ წყდება ვნებათაღელვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებისა და მათი საქმიანობის შესახებ. მიუხედავად საკითხის ამგვარი აქტუალურობისა საზოგადოებაში,

არასამთავრობო და აკადემიურ წრეებში უმნიშვნელოდ მცირეა დისკუსია თემის შესახებ.

მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს არსებული სადაზვერვო სისტემის განხილვა, ასევე იმ როლის წარმოჩენა, რომელიც ამ სისტემას გააჩნია დღევანდელ საქართველოში. ამასთან, შესაძლებლობებისა და გამოწვევების შეფასება. პროგრესისა და განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია ჯერ შესწავლილ იქნეს არსებული მდგომარეობა, რათა შემდგომი ნაბიჯები სისტემის ეფექტურობის მაქსიმიზაციისთვის სიზუსტითა და საჭიროებისამებრ გადაიდგას.

გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ის შესაძლებლობები და გამოწვევები რომლის წინაშეც დგას საქართველოს დღევანდელი სადაზვერვო საზოგადოება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კვლევის ფარგლებში დამუშავებულ იქნა სხვადასხვა წამყვანი ქვეყნის პრაქტიკა და აკადემიური წრის მიგნებები, ასევე ქართული სპეც. სამსახურების რეალობის ზუსტად გასაგებად ჩატარდა ინტერვიუები სხვადასხვა სადაზვერვო და არამხოლოდ, უწყების ყოფილ და მოქმედ თანამშრომლებთან.

კვლევის ფარგლებში, მიმოხილულია სადაზვერვო სწავლებების თეორიული ნაწილი, საქართველოს სადაზვერვო საზოგადოების წარსული და არსებული რეალობა, როგორც გამოცდილების კუთხით, ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით. განხილულია თანამედროვე ტენდენციები დარგში და ის შესაძლებლობები, ლიმიტები და გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას დღევანდელი საქართველოს სადაზვერვო სისტემა.

სადაზვერვო საზოგადოება

ისტორია

დაზვერვა, როგორც ინფორმაციის მიღების საშუალება და პროცესი, უძველესი დროიდან ვითარდებოდა სხვადასხვა ხალხების ისტორიაში. ერთ-ერთი პირველი ჩანაწერი სადაზვერვო საქმიანობის შესახებ ძველ აღთქმაში გვხვდება¹, როდესაც მოსე აგზავნის მზვერავებს ქანაანის ქვეყნის დასაზვერად.

ბიბლიური ჩანაწერის მიღმა, შედარებით ინსტიტუციონალური ხასიათი ამ სფეროში გვხვდება როგორც აღმოსავლეთით, სამხედრო ფილოსოფოსის სუნ-ძის ჩანაწერებში² (ძვ. წ. VI-V ს.ს.), ასევე დასავლეთში, კერძოდ - რომის იმპერიაში, სადაც მმართველებს ჰყავდათ საკუთარი ჯაშუშები („speculatores“), რომლებიც სხვადასხვა და სპეციალურ დავალებებს ასრულებდნენ³.

სუნ-ძის ჩანაწერები სადაზვერვო/ჯაშუშური საქმიანობის შესახებ მეტად დახვეწილია - იგი დანვრილებით განიხილავს ჯაშუშების ტიპებს⁴, მათი ცნობების გამოყენების მნიშვნელობასა და დროს. განსხვავებით სხვა ისტორიული წყაროებისგან, სუნ-ძი ეხება კონტრდაზვერვით საქმიანობასაც და ხაზგასმით აღნიშნავს მტრის აგენტების გამოვლენისა და მათი გადმობირების საჭიროებას⁵.

¹ რიცხვნი, 18:24-38.

² სუნ-ძი, *ომის ხელოვნება* (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007), 219.

³ George Cupcea, *SPECULATORES IN DACIA. MISSIONS AND CAREERS*, 2008, <https://bit.ly/3AtLsP9>, 20.09.2021

⁴ სუნ-ძი, 220.

⁵ სუნ-ძი, 221.

მოცემული წყაროები ცალსახად მიუთითებს, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე საუკუნეებით ადრეც, მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში ყალიბდება სადაზვერვო საქმიანობა, როგორც პროფესია და გარდა წმინდა სამხედრო ხასიათისა, აქტიურად გამოიყენება პოლიტიკური დაზვერვაც.

დარგის განვითარების შემდგომ ეტაპად, შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს შუა საუკუნეების ევროპა, სადაც სადაზვერვო საქმიანობის რამდენიმე მიმართულება იწყებს განვითარებას⁶.

პირველი ასეთი მიმართულება დიპლომატიური კორპუსის ინსტიტუციონალიზაციაა დასავლეთ ევროპასა და იტალიაში. ელჩების ძირითად საქმიანობას მოლაპარაკებებთან ერთად, იმ ქვეყნების შესახებ ცნობების შეგროვება და სამშობლოში გაგზავნა იყო, სადაც ის იყო მივლენილი. მე-16 საუკუნისთვის, დიპლომატების საქმიანობის ერთ-ერთი ელემენტს საიდუმლო აგენტების მართვა წარმოადგენდა⁷. ამ ეპოქიდან იწყება ელჩის განხილვა, როგორც ლეგალური ჯაშუშისა. როგორც ქვემოთ იქნება განხილული, აღნიშნული მიდგომა დღესაც, ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სადაზვერვო საქმიანობაში.

კიდევ ერთი, დღევანდელი სადაზვერვო პროცესის განუყოფელი ელემენტი წარმოიშვა შუა საუკუნეების ევროპაში და კონკრეტულად ინგლისში - ახალი, მნიშვნელოვანი ამბების თავმოყრა პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის, რა მიზნითაც შეიქმნა „London Gazette“⁸. არსებობს მოსაზრება, რომ ეს პროცესი გახდა დღევანდელი, დიდი ბრიტანეთის ერთობლივი სადაზვერვო კომიტეტის საგარეო დაზვერვის ყოველკვირეული შემაჯამებელი დოკუმენტის საფუძველი⁹.

⁶ Herman Michael, *Intelligence Power in Peace and War* (Cambridge: Press Syndicate of The University of Cambridge, 2004) 9-10.

⁷ იქვე

⁸ იქვე

⁹ იქვე

ამის შემდეგ, ძირეული სიახლეები დარგში, მე-19 საუკუნეში იწყება და აღნიშნული პროცესი დღემდე გრძელდება. მე-19 საუკუნეში იქმნება პირველი დამოუკიდებელი სადაზვერვო სამსახურები სახელმწიფო აპარატში ან შეიარაღებულ ძალებში.

ამერიკის შემთხვევაში ეს იყო „სამხედრო ინფორმაციის ბიურო“¹⁰, რომელიც ჩამოყალიბდა სამოქალაქო ომის პერიოდში, პოტომაკის არმიის სარდლის დაქვემდებარებაში. სამოქალაქო ომის შემდგომ დანაყოფმა არსებობა შეწყვიტა. სადაზვერვო სამსახურების ხელახალი ჩამოყალიბება ხელახლა იწყება 20 წლის შემდგომ „საზღვაო დაზვერვის სამსახურის“ შექმნით¹¹.

რუსეთის იმპერიაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში ყალიბდება ე.წ. „ოხრანა“¹², საჯარო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის დეპარტამენტი, რომელიც წარმოადგენს საიდუმლო სამსახურს და აყალიბებს საკუთარ საინფორმაციო ქსელს იმპერიის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულმა ინსტიტუტმა არსებობა ოფიციალურად იმპერიის დაცემასთან ერთად შეწყვიტა, თუმცა იგი ითვლება საბჭოთა უსაფრთხოების სამსახურების წინაპრად.

1910 წელს ბრიტანეთის იმპერიაში შეიქმნა სპეციალური, ე.წ. „ჰალდანის კომიტეტი“, რომელიც იძიებდა უცხო ქვეყნის ჯაშუშებით გამონვეულ საფრთხეს¹³. მსჯელობის საფუძველზე გასცა რეკომენდაცია სპეციალური სამსახურის/დანიშნულების ბიუროს (“Special Service Bureau”) შექმნის შესახებ, რომელიც სადაზვერვო საქმიანობას განახორციელებდა ეროვნულ დონეზე. აღნიშნული უწყება ითვალისწინებდა როგორც

¹⁰ Delew Christopher, *The Bureau of Military Intelligence in The Chancellorsville Campaign*, MA, American Military University, 2017, <https://bit.ly/2Zgysij> 20.09.2021

¹¹ Office of Naval Intelligence, <https://bit.ly/3nQZarT>, 20.09.2021

¹² Herman Michael, 19-20

¹³ Davies Philip H. J., *Ideas of Intelligence: Divergent National Concepts and Institutions*, Harvard International Review Vol. 22, No. 3 (Fall 2002): 62-66

საშინაო, ისე საგარეო დაზვერვას¹⁴. გარდაქმნის შედეგად გაიყო აღნიშნული მიმართულებები და ჩამოყალიბდა უსაფრთხოების სამსახური იგივე MI-5 (“Military Intelligence 5th section“ - სამხედრო დაზვერვა, მე-5 განყოფილება) და სპეციალური დაზვერვის სამსახური, იგივე MI-6 (“Military Intelligence 6th section“ - სამხედრო დაზვერვა, მე-6 განყოფილება). აღნიშნული ინსტიტუტები დღემდე ამ სახელით აგრძელებენ საქმიანობას¹⁵.

მსოფლიოში სადაზვერვო სამსახურების ჩამოყალიბების კუთხით, არსებითი ცვლილებები დაიწყო მე-20 საუკუნეში, ცივი ომის პერიოდში. იმის მიხედვით, თუ რომელი მსოფლიო ძალის პარტნიორი იყო ქვეყანა, შესაბამისად ყალიბდებოდა მისი უსაფრთხოების სამსახურებიც. შესაბამისად გავრცელდა როგორც ანგლო-საქსური, ასევე საბჭოთა „სუკ-ის“ (იგივე ე.წ. „კაგებეს“) მოდელი¹⁶.

ანგლო-საქსური მოდელის მთავარ ამოცანას ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და გადაწყვეტილების მიმღებთათვის მიწოდება წარმოადგენს. ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე, აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, კომპეტენციები ზოგ მათგანში სხვადასხვა ინსტიტუციაშია გადანაწილებული - გაყოფილია დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურები. დაზვერვის თითოეულ გვარეობას, რესურსისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი ინსტიტუციები გააჩნიათ. მაგ. აშშ-სა და დიდი ბრიტანეთში, SIGINT-ის (“SIGnal INTelligence” - სიგნალებსა და კომუნიკაციებზე მომუშავე სადაზვერვო გვარეობა) დაზვერვის სამსახური ავტონომიური ერთეულია (NSA – National Security Agency/ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო და GCHQ - Government Communications Headquarters/სამთავრობო კომუნიკაციების

¹⁴ იქვე

¹⁵ იქვე

¹⁶ Davies, Philip H. J., 66.

ცენტრი, შესაბამისად¹⁷). ხოლო ყველა სადაზვერვო ამოცანის მქონე უწყება, ერთობლიობაში ქმნის სადაზვერვო საზოგადოებას.

რაც შეეხება საბჭოთა მოდელს [(ჭერ NKVD-ს (Народный комиссариат внутренних дел, НКВД - შინსახკომი ანუ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) და შემდგომ KGB-ს (Комитет государственной безопасности (КГБ) - სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი (სუკ)) შემთხვევაში)], მოცემული სამსახურები, აერთიანებდნენ ყველა ტიპის სადაზვერვო უწყებას (გარდა სამხედრო დაზვერვისა (გამონაკლისის წარმოადგენდა 1945-49 წლის პერიოდი)¹⁸). KGB-ში შედიოდა როგორც საგარეო დაზვერვა, ასევე კონტრდაზვერვა, SIGINT და სხვა. შეიარაღებულ ძალებს კი გააჩნდათ საკუთარი საგარეო დაზვერვის სამსახური - მთავარი სადაზვერვო დირექტორატი, ე.წ. „GRU“ (Главное разведывательное управление (ГРУ), მთავარი სადაზვერვო სამმართველო).

ინსტიტუციური განვითარებები დღემდე გრძელდება, როგორც გემოალნიშნულ, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ტექნოლოგიურმა პროგრესმა ახალი შესაძლებლობები გააჩინა სადაზვერვო სამსახურებისთვის საკუთარი ამოცანის შესასრულებლად, თუმცა ამ პროცესს თან ახლავს გამონწვევებიც, ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, რაც გახდა ინსტიტუციური განვითარების ახალი ეტაპების დასაწყისი.

გვარეობები

¹⁷ შურდულაია, თორნიკე, *ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები*, (თბილისი: უნივერსალი, 2013), 162-164, 256-258.

¹⁸ Pringle, Robert W., *KGB*. Encyclopedia Britannica, March 2, 2021, <https://bit.ly/3LAY6FK> 20.09.2021

ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად, კიდევ უფრო გაიზარდა ის არსენალი, რაც გააჩნია სადაზვერვო საზოგადოებებს მსოფლიოს გარშემო, ინფორმაციის მოსაპოვებლად. იმის გასაგებად, თუ რა სპეციფიკა ახლავს თან დაგობრივ საქმიანობას, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ის ძირითად გვარეობები, რომელსაც 21-ე საუკუნეში იყენებენ არსებული სადაზვერვო ორგანიზაციები¹⁹:

- **ადამიანური რესურსებით დაზვერვა (ე.წ. “HUMINT“):** აღნიშნული გვარეობა უძველესია სადაზვერვო საქმიანობაში. იგი გულისხმობს ადამიანური რესურსებისგან მიღებულ ინფორმაციას, კერძოდ აგენტებისგან/ჯაშუშებისგან, ინფორმატორებისგან და ა.შ. ამ მიმართულებით სადაზვერვო ორგანიზაციის მთავარი საზრუნავია პირის გადმოხიზვა, მისი (აგენტის), როგორც ინფორმაციის წყაროს დაცვა და შენარჩუნება;
- **სიგნალებისგან მიღებული ინფორმაცია (ე.წ. “SIGINT“):** ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, კომუნიკაცია შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სახის სიგნალებით, მაგ. რადიოსიგნალის, ელექტრონული სიგნალისა და სხვა. მოცემული გვარეობა რამდენიმე ტიპის სადაზვერვო მეთოდს აერთიანებს. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია კომუნიკაციების გადაჭერის შედეგად მიღებული ინფორმაცია, ასევე ფართოდ გამოიყენება სიგნალების გადაცემის სიხშირეზე დაკვირვება და სხვა;
- **ფოტო გადაღებით მიღებული ინფორმაცია (ე.წ. “IMINT“):** მოცემული გვარეობაც მე-20 საუკუნის ნაყოფია, რომელიც პორტატული ფოტო-კამერისა და ბრძოლის ველზე თვითმფრინავების გამოჩენასთან ერთად, შეიქმნა აღნიშნული გვარეობაც. თავდაპირველად იგი მოიცავდა მონინალმდეგის ძალების, ფორტიფიკაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების ჰაერიდან დაფიქსირებას, თუმცა ხელოვნური თანამგზავრების გამოჩენასთან ერთად

¹⁹ Herman Michael, 61-80

გვარეობა უფრო დაიხვეწა და თანამგაზვრიდან გადაღებული ფოტო-მასალა წარმოადგენს მის მთავარ პროდუქტს;

- **გაზომვითი და კვალის მიხედვით დაზვერვა (ე.წ. “MASINT”)**: აღნიშნული გვარეობაც მე-20 საუკუნის „ნაყოფია“ და იგი გულისხმობს სხვადასხვა სახის სენსორებით მიღებულ ინფორმაციას. მისი საშუალებით შესაძლებელია შეფასებულ იქნეს მონინალმდეგის მიერ გამოცდილი ბირთვული იარაღის მახასიათებლები. ამ დარგმა საკუთარი მნიშვნელობა წარმოაჩინა როგორც ცივი ომის მსვლელობისას ისე მის შემდგომ.
- **ღია წყაროებით მიღებული ინფორმაცია (ე.წ. “OSINT”)**²⁰: აღნიშნული გვარეობა აქტიურად გამოიყენებოდა, როგორც ადრეული სადაზვერვო სამსახურების ჩანასახში, ისე მე-20 საუკუნეშიც. იგი გულისხმობს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით შექმნილ სადაზვერვო პროდუქტს. მისი აქტუალურობა 21-ე საუკუნეში შემდგომ თავებში იქნება განხილული.

როლი

სადაზვერვო საზოგადოების და ზოგადად დაზვერვის როლი სახელმწიფო მართვაში ძირითადი განსახილველი საკითხია აკადემიურ წრეებში და არამხოლოდ. თეორიაში დამკვიდრებული მოსაზრებით დაზვერვის ძირეულ ფუნქციას წარმოადგენს პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციით. ასეთი ინფორმაციის საჭიროებას მუდმივად წარმოშობს სწრაფად ცვალებადი საერთაშორისო მდგომარეობა და ის გარემოებები, რომელშიც გადანყვეტილების მიმღებებს უნევთ მოქმედება.

²⁰ Hulnick, Arthur S., *The Oxford Handbook of National Security Intelligence*, Edit.: Johnson K. Loch (Oxford, Oxford University Press, 2010)

ქვეყნების და მათი გამოცდილების მიხედვით განსხვავდება სადაზვერვო საზოგადოების ორგანიზაციული მონაცემები და მათი კომპეტენციებიც. ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი სახელმწიფოს დემოკრატიულობაცაა. პროფესორმა ჯონ ძიაკმა, არადემოკრატიულ, საბჭოთა კავშირის მსგავს ქვეყნებს უწოდა „კონტრდაზვერვის სახელმწიფოები“²¹, ვინაიდან მათი სადაზვერვო სამსახურები, როგორც შიდა, ისე გარე, ორიენტირებული არიან რეჟიმის უსაფრთხოებაზე და არა ეროვნულ უსაფრთხოებაზე. მაგ. საბჭოთა კავშირის შექმნის დღიდან, მე-2 მსოფლიო ომამდე პერიოდში, უსაფრთხოების სამსახური (იმხანად „გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური დირექტორატი“, იგივე “OGPU” (Объединённое государственное политическое управление - სახელმწიფოთა გაერთიანების პოლიტიკური სამმართველო), შემდგომ „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, (“NKVD”) ორიენტირებული იყო ჯერ „ხალხის მტრების“- დისიდენტების და შემდგომ „ტროცკისტების“ განეიტრალებაზე. შესაბამისად განვითარდა ამგვარი სამსახურების ინსტიტუტებიც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეროვნულ დონეზე, საგარეო დაზვერვის სამსახურის ჩამოყალიბება მე-2 მსოფლიო ომის პერიოდში, პერლ ჰარბორზე თავდასხმის შემდგომ გადაწყდა²². აღნიშნული გამოწვეული იყო იმ მოულოდნელობით, რაც იაპონელთა თავდასხმამ გამოიწვია, მიუხედავად იმისა რომ არსებობდა სხვადასხვა ტიპის ცნობები მოსალოდნელ თავდასხმაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსხვავდება უსაფრთხოების სისტემები და აღქმები სახელმწიფოების მიხედვით. თუმცა, არსებობს ზოგადი კრიტერიუმები

²¹ Dziak, J. J., *Chekisty: A History of the KGB*, (Lexington: Lexington Book, 1988)

²² Davies, Philip H. J., 64

რომელიც განსაზღვრავს სადაზვერვო სამსახურის როლს და ადგილს სახელმწიფოს მართვაში²³.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონის მიხედვით - დაზვერვა, ეს არის „სახელმწიფოს მოღვაწეობის ერთ-ერთი სფერო, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის სხვა მოქმედი პირების შესაძლებლობებისა და განზრახვების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ითვალისწინებს.“²⁴ „CIA-ის“ (Central Intelligence Agency - ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო) განმარტებით ეროვნული უსაფრთხოებისთვის სადაზვერვო პროცესი არის „არსებული და წინმსწრები ცოდნა მსოფლიოს შესახებ - ერთგვარი პრელუდია პრეზიდენტის გადაწყვეტილებისა და მოქმედებისა“.

CIA-ს ეს განმარტება ნათლად აღწერს იმ აღქმას, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებებშია სადაზვერვო ინსტიტუციის მიმართ - ინფორმაციის წყარო ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის, რომელიც შემდგომ ქმნის პოლიტიკას. ამ ურთიერთობიდან ცალსახაა, რომ სადაზვერვო საზოგადოება არის ოპერატიული შინაარსის მქონე, ვინაიდან, იგი არ ქმნის პოლიტიკას, არამედ მის საინფორმაციო (ან სხვა სახის) მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

პრაქტიკაში სადაზვერვო საზოგადოების წინაშე დგას სამი ძირითადი საკითხი²⁵:

1. განსაზღვრული პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციის შეკრება და გადაწყვეტილების მიმღებთათვის წარდგენა;
2. კონტრდაზვერვა - სხვა ქვეყნის ან არასახელმწიფო აქტორების უკანონო მოქმედებების გამოვლენა და აღკვეთა ქვეყნის ტერიტორიაზე;
3. სპეციალური ღონისძიებები - აღნიშნული მიმართულება გულისხმობს

²³ Wirtz, James J., *The Oxford Handbook of National Security Intelligence*, Edit.: Johnson K. Loch (Oxford, Oxford University Press, 2010)

²⁴ Loch, Johnson K., *The Oxford Handbook of National Security Intelligence*, Edit.: Johnson K. Loch (Oxford, Oxford University Press, 2010) 3.

²⁵ Loch, Johnson K., *The Oxford Handbook of National Security Intelligence*, Edit.: Johnson K. Loch (Oxford, Oxford University Press, 2010) 4.

სხვადასხვა სახის ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებას ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

ინფორმაციის მოპოვება პრიორიტეტული საკითხების თუ სამიზნეების გარშემო დაზვერვის ყველაზე ძველ და ძირითად ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნული პროცესი ანგლო-საქსურ მოდელებში რამდენიმე ეტაპად იყოფა:

ა) **დაგეგმვა და პრიორიტეტირება** - ციკლის საწყისი თაზა, რა დროსაც ხდება შესაბამისი სამსახურისთვის პრეფერენციების წარდგენა, რის მიხედვითაც ანაწილებს რესურსს სადაზვერვო სამსახური (ან სამსახურები). აღნიშნულ პროცესს ცხადია წარმართავს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, წრე რომელიც საჭიროებს სადაზვერვო ინფორმაციას.

ბ) **ინფორმაციის შეგროვება** - შემდგომი ეტაპი გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას, ესაა სხვადასხვა გვარეობიდან შეკრებილი ინფორმაცია კონკრეტული საკითხის გარშემო. აღნიშნული ნაკადი ცნობებისა, წარმოადგენს დაუმუშავებელ, მშრალ ინფორმაციას.

გ) **ინფორმაციის დამუშავება** - ცნობების შეგროვების შემდგომ ხდება, მიღებული მონაცემების დამუშავება მათი სანდოობის, სიზუსტის და რელევანტურობის მიხედვით, რათა სადაზვერვო პროდუქტი იყოს ემედიითი და ზუსტი მოთხოვნილი გამოწვევის შესახებ.

დ) **მონაცემთა ანალიზი** - დახარისხებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ანალიტიკოსი ამზადებს შესაბამის ანგარიშს, რომელიც უნდა წარედგინოს გადანყვეტილებების მიმღებებს. ეს არის ის საბოლოო პროდუქტი, რასაც ემსახურება სადაზვერვო სამსახური.

ე) **გავრცელება** - მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით შედგენილი ანალიტიკური ანგარიში/მოხსენება/მემო მიეწოდება მას, ვინც უნდა იცოდეს ამის შესახებ. რის შემდეგაც, გადანყვეტილების მიმღების მიერ ხდება

ხელახალი ამოცანის განსაზღვრა სადაზვერვო სამსახურისთვის და ციკლი იწყება ხელახლა.

სადაზვერვო საზოგადოების წინაშე დასმულ მეორე ამოცანას წარმოადგენს **კონტრდაზვერვითი საქმიანობა**. ცნობილია ფრაზა „ერთი ქვეყნის დაზვერვის წარმატება, მეორე ქვეყნის კონტრდაზვერვის ჩავარდნა“. ცხადია, სადაზვერვო ინსტიტუტის არსებობის მიზეზი საერთაშორისო ასპარეზზე არსებული გაურკვეველობა და გაუმულავენებელი შეხედულებები და გეგმებია. შესაბამისად, სახელმწიფოს რომელსაც აინტერესებს სხვისი საიდუმლოებები, მასაც გააჩნია საკუთარი, რომელიც ასევე სასურველია სხვა ქვეყნებისთვის, რის გამოც იგი დაცვას საჭიროებს.

სადაზვერვო სწავლებებში გამოიყოფა ორი ტიპის კონტრდაზვერვითი პოლიტიკა²⁶ - პასიური და აგრესიული. პასიური პოლიტიკა გულისხმობს თავდაცვით აქტივობებს - საიდუმლოებებზე წვდომის მკაცრ კონტროლს, კომუნიკაციის უსაფრთხოების მუდმივ განახლებას და სხვა. აგრესიული პოლიტიკა მოიცავს ისეთ კონტრდაზვერვით ღონისძიებებს, როგორიცაა უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლების გადმობირების მცდელობა, ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი აგენტების გამოაშკარავება და გასამართლება და სხვა. გარდა სახელმწიფო და არასახელმწიფო (მაგ. ტერორისტული ორგანიზაციის) აქტორების გეგმების და აქტივობების განეიტრალებისა, კონტრდაზვერვა წმინდა სადაზვერვო ხასიათით - გამოვლენილი აგენტების სამიზნეებისა და მათი წარმომავლობის შესახებ ინფორმაციით, სამსახური ადგენს, კონკრეტული ქვეყნების ინტერესს სახელმწიფოში და მათი ინტერესის საგანს, რაც საშუალებას აძლევს მმართველ რგოლს რესურსები შესაბამისი მიმართულებით მიმართოს ეროვნული უსაფრთხოების გასაძლიერებლად. ეფექტურ კონტრდაზვერვის ინსტიტუტს შეუძლია გადამწყვეტ მომენტში კრიტიკული

²⁶ Redmond, Paul J. K., *The Oxford Handbook of National Security Intelligence*, Edit.: Johnson K. Loch (Oxford, Oxford University Press, 2010)

როლი ითამაშოს ქვეყნის უსაფრთხოებაში - 1944 წლის ოპერაცია „ოვერლორდის“ დაწყებამდე, ბრიტანულმა სპეცსამსახურებმა გამოვლენილი გერმანელი აგენტების დეზინფორმირება ეფექტურად შეძლეს და შედეგად ზემოაღნიშნული ოპერაცია წარმატებით განხორციელდა. დესანტირების ადგილის არასწორად მიწოდების შედეგად, გერმანელებმა თავდაცვითი ძალების ბირთვი სწორედ იქ გადაისროლეს, სადაც ბრიტანეთში მყოფი აგენტებისგან მოწოდებული ინფორმაციით ელოდნენ.

სადაზვერვო საქმიანობის მესამე ფუნქიას წარმოადგენს **სპეციალური ღონისძიებების** ჩატარება. აღნიშნული მიმართულება მოიცავს ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორებიც შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის წამოწყება ან მხარდაჭერა, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ამბოხებულების მხარდაჭერა (განვრთნა/იარაღით მომარაგება), კონკრეტული პირების ლიკვიდაცია და ა.შ.

ამ კუთხით, შედარებით მცირე ქვეყნების სპეცსამსახურებიდან გამორჩეული ისრაელის სადაზვერვო სამსახური „მოსადი“ (ოფიციალური სახელი : „დაზვერვისა და სპეციალური ოპერაციების ინსტიტუტი“). ორგანიზაციამ, მიუხედავად მცირე გამოცდილებისა, ჩამოყალიბებიდან მალევე, აქტიურად დაიწყო სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების განხორციელება. მაგ. ოპერაცია „გარიბალდი“, რომლის ფარგლებშიც მოსადის ოფიცრებმა შეძლეს „ეს-ეს-ის“ მაღალი რანგის ოფიცრისა და ჰოლოკოსტის ერთ-ერთი ორგანიზატორის, არგენტინაში გაქცეული ადოლფ აიხმანის გატაცება და ისრაელში, სასამართლოს წინაშე წარდგენა²⁷. ასევე, ოპერაცია „მოსე“ – მოსადის ოფიცრების მიერ ეთიოპიიდან 8 000-ზე მეტი, ეთნიკურად ებრაელის საიდუმლო ევაკუაცია²⁸. ეს არის ის მცირე ჩამონათვალი, რომელიც განხორციელებულია ისრაელის სადაზვერვო სამსახურის მიერ სპეციალური ღონისძიებების ფარგლებში.

²⁷ Israeli Security Agency, 2020, <https://bit.ly/2XzLfLD> 20.09.2021

²⁸ Israel Ministry of Foreign Affairs, 2017, <https://bit.ly/3zqAnNB> 20.09.2021

აღნიშნული მიმართულება ცხადია სცდება დაზვერვის ამოცანას, თუმცა მე-20 საუკუნეში საგარეო დაზვერვა, როგორც „სცენის მიღმა“ ორგანიზაცია, სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში გარდაიქმნა ხელისუფლებების მთავარ ბერკეტად ქვეყნის ფარგლებს გარეთ გარკვეული აქტივობების განსახორციელებლად, რომელიც დემოკრატიული ქვეყნების შემთხვევაში უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს. საბჭოთა კავშირის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნული ამოცანებისა, სადაზვერვო სამსახური გამოიყენებოდა დისიდენტებისა და სპეცსამსახურების დემერტირი ოფიცრების ლიკვიდაციისთვის.

სადაზვერვო საზოგადოების როლზე, შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ინსტიტუტი სახელმწიფოსთვის წარმოადგენს რესურსების დაზოგვის ინსტრუმენტს. საერთაშორისო ასპერზე არსებული გაურკვევლობის პირობებში, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია არსებული შეზღუდული რესურსები მაქსიმალურად ეფექტურად გადანაწილდეს, მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, როგორც სოციო-ეკონომიკური ასევე ეროვნული უსაფრთხოების კუთხით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საფრთხის შესაბამისად, სწორად და პროპორციულად იქნას მიმართული სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსები. სწორედ აქ წარმოჩნდება სადაზვერვო ინსტიტუტების მნიშვნელობა. მათი ეფექტური მუშაობის დამსახურებით, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ეძლევა საშუალება მაქსიმალურად ზუსტად ფლობდეს ინფორმაციას არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ და შესაბამისად მიმართოს რესურსები. ეს პრინციპი ეხება როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო დაზვერვის მიმართულებებს.

ქართული სადაზვერვო სამსახურები

ისტორია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირობებში, სადაზვერვო საზოგადოების ჩამოყალიბების მცდელობას პირველად ადგილი 1918-21 წლებში ჰქონდა. მიუხედავად სახელმწიფოს და მისი ხელმძღვანელობის „ახალბედობისა“, როგორც გამოცდილებამ წარმოაჩინა, ქვეყნის სპეცსამსახურები ეფექტურად ართმევდნენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს თავს.

პირველი რესპუბლიკის პერიოდში სადაზვერვო კომპეტენციის მექანე სამი სხვადასხვა უწყება ჩამოყალიბდა - სახალხო გვარდია, განსაკუთრებული რაზმი და გენერალური შტაბის ე.წ. „დამზვერავი ნაწილი“²⁹.

სახალხო გვარდია შეიქმნა 1918 წელს და გააჩნდა შინაგანი ჯარის ფორმაცია, რომელსაც ჰქონდა მხარდამჭერი როლი როგორც საპოლიციო ღონისძიებებში, ასევე საომარ ვითარებებში. სახალხო გვარდიის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა საინფორმაციო განყოფილება, რომელიც ქმნიდა და მართავდა აგენტურის ქსელს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, სახალხო გვარდიაში ფუნქციონირებდა კონტრ-დაზვერვის განყოფილებაც.

განსაკუთრებული რაზმი, გვარდიის მსგავსად 1918 წელს შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში. დანაყოფის ამოცანას წარმოადგენდა კონტრ-დაზვერვითი საქმიანობა, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქტივობების გამოვლენა და ნეიტრალიზება. ასევე, რაზმის კომპეტენციას მიეკუთვნა სამოხელეო დანაშაულების კატეგორიაც.

განსაკუთრებული რაზმისა და ზოგადად იმდროინდელი სადაზვერვო საზოგადოების ეფექტურ მუშაობაზე მეტყველებს არქივებში შემონახული ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორებიცაა მაგალითად: მე-11 არმიის საქართველოზე თავდასხმის გეგმა, საქართველოს რევკომის თავმჯდომარის, ფილიპე მახარაძის საიდუმლო მოხსენება და სხვა.

პირველი რესპუბლიკის მაგალითი, ნათლად აჩვენებს მწირი რესურსებისა და ფაქტობრივად მუდმივად საომარ მდგომარეობაში ყოფნის პირობებშიც, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, რამდენად ემედიითი და ეფექტური შეიძლება იყოს სადაზვერვო საზოგადოება. მიუხედავად რეგიონალური ძალების აქტიური

²⁹ ხვადაგანი, დავით, *პირველი რესპუბლიკის უსაფრთხოების სამსახურები*, 2019, <https://bit.ly/3CsX0mq>, 20.09.2021

მოქმედებებისა ქვეყნის ტერიტორიაზე, სპეცსამსახურებმა მოახერხეს შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგენტურული ქსელების გამოვლენა და ანტისახელმწიფოებრივი ოპერაციების გაუვნებელყოფა.

გასაბჭოების შემდგომ, საქართველო საბჭოთა უსაფრთხოების სამსახურების ორგანული და განუყოფელი ნაწილი გახდა.

ამჟამინდელი ინსტიტუტები

დღეისათვის საქართველოს რამდენიმე სადაზვერვო სამსახური გააჩნია. ესენია: საქართველოს დაზვერვის სამსახური, თავდაცვის ძალების სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

საქართველოს დაზვერვის სამსახურის ისტორია იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად³⁰. თავდაპირველად 1992 წელს, ჯერ საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის, ხოლო შემდგომ უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებდა დაზვერვის სამმართველო. 1997 წელს სამმართველო გარდაიქმნა დამოუკიდებელ უწყებად 2004 წლამდე. 2004 წლიდან 2005 წლამდე სამსახური კვლავ დაქვემდებარა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს. 2005 წლიდან კვლავ გამოეყო სამინისტროს და ჩამოყალიბდა საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური. ორგანიზაციას სახელი გადაერქვა 2010 წელს და ეწოდა „საქართველოს დაზვერვის სამსახური“. ქვეყანაში მმართველობის ტიპის ცვლილებასთან ერთად, შეიცვალა სამსახურის ქვემდებარეობაც და 2013 წლიდან სამსახური ქვეყნის პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს. იგი სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებს: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ, ინფორმაციულ და ეკოლოგიურ სფეროებში, აგრეთვე თავისი კომპეტენციის

³⁰ საქართველოს დაზვერვის სამსახური, <https://bit.ly/2Z6vHzQ>, 20.09.2021

ფარგლებში მონაწილეობს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. ასევე, იგი ახორციელებს საგარეო კონტრაბანდით საქმიანობასაც.

მთავრობის 2014 წლის N175 დადგენილების³¹ მიხედვით, სამსახურის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებაშეგროვება, დამუშავება, ანალიზი, რეკომენდაციის შემუშავება და გავრცელება (მიწოდება);

ბ) საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული არსებული და პოტენციური საგარეო საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების განსაზღვრა-გამოვლენა;

გ) კომპეტენციის ფარგლებში ეროვნული, რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება, მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნოზირება და კრიზისული სიტუაციის არსებობის ან მისი წარმოქმნის საფრთხის შემთხვევაში ქვეყნის ხელისუფლებისათვის შესაბამისი შეფასებების და წინადადებების მიწოდება;

დ) უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროებში საქართველოს ეროვნული ინტერესების გატარებისა და დაცვისათვის ხელშეწყობის მიზნით, უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმებით, სპეციალური ფარული ღონისძიებების განხორციელება;

ე) საზღვარგარეთის პირობებში საკუთარი ძალების, საშუალებებისა და ოპერაციების, ასევე, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო

³¹ დადგენილება N175, საქართველოს მთავრობა, 2014

დანესებულებების და მათი საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საგარეო კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელება.

აღნიშნული დადგენილების თანახმად, ამჟამინდელი მდგომარეობით სადაზვერვო სამსახური არამხოლოდ უზრუნველყოფს ინფორმაციით ხელისუფლებას, არამედ აწვდის საკუთარ შეფასებებსა და წინადადებებს. ამავდროულად, პოლიტიკური ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით აწარმოებს სპეციალურ ღონისძიებებს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მსგავსად ზემოხსენებული უწყებისა, საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად იწყება. საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი გარდაიქმნა უშიშროების სამინისტროდ. 2005 წელს სამინისტრო გაუქმდა და დანაყოფები გაერთიანდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. 2015 წელს სხვადასხვა კომპეტენციის დანაყოფები გამოეყო შინაგან საქმეთა სამინისტროს და შეიქმნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური³².

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ, საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ამოცანებია³³:

ა) საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან დაცვა;

ბ) საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და მათი დაცვის უზრუნველყოფა;

³² საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, <https://bit.ly/3EAIz5W>, 20.09.2021

³³ საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 2015

გ) ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

დ) ტერორიზმთან ბრძოლა;

ე) სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;

ვ) კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება;

ზ) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მათი შესრულების კონტროლი;

თ) ქვეყნის საგარეო საფრთხეებისაგან დაცვა.

განსხვავებით, დაზვერვის სამსახურისგან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომლის კომპეტენცია მოიცავს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისა და ცალკეული პირების სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქტივობების გამოაშკარავებასა და აღკვეთას, ამავდროულად სამსახურს მინიჭებული აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის მანდატი. აღნიშნული სტანდარტი უკარავს მხოლოდ ოპერატიული, ინფორმაციის შემკრები და სპეციალური ღონისძიებების განმახორციელებელი უწყების სტატუსს და საპოლიციო უფლებამოსილებას სძენს სამსახურს. მოცემული კომპეტენცია საბჭოთა სისტემის „მემკვიდრეობა“, რომელიც ჯერ კიდევ რჩება საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ბერკეტად. როგორც ამას გამოცდილება აჩვენებს, აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური სკანდალის მიზეზი (მაგ. ე.წ. „ფოტოგრაფების საქმე“).

ცალკე აღნიშვნის ღირსია **ოპერატილ-ტექნიკური სააგენტო**, რომელიც სტრუქტურულად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობაშია.

აღნიშნული სააგენტო ტექნიკური საშუალებებით ატარებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიებებს, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ტექნოლოგიით ახორციელებს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მიზნებით ინფორმაციის თავმოყრას. მართალია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაშია, თუმცა სააგენტოს ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ასევე, სააგენტოს ხელმძღვანელს ანგარიშვალდებულება გააჩნია უშუალოდ პრემიერ-მინისტრის მიმართ და სწორედ მასვე წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს³⁴.

ზედამხედველობის და კონტროლის ბერკეტები

საქართველოს სადაზვერვო კომპეტენციის მქონე უწყებებზე ზედამხედველობისა და კონტროლის ინსტრუმენტებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“³⁵.

კანონის თანახმად, სადაზვერვო უწყებები ქმნიან სადაზვერვო სისტემას, რომელშიც შედის საქართველოს დაზვერვის სამსახური, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო ქვედანაყოფები და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს სადაზვერვო ქვედანაყოფები. აღნიშნული კანონი 2010 წელსაა მიღებული. ამ პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ქვემდებარე დანაყოფები შინაგან საქმეთა სამინისტროში იყრიდნენ თავს. თუმცა, 2015 წელს, მას შემდეგ, რაც აღნიშნული ქვედანაყოფები გამოეყო შსს-ს და ჩამოყალიბდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კანონში აღნიშნული ცვლილება არ ასახულა. ამგვარ მოწესრიგებაში,

³⁴ საქართველოს კანონი საქარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 2017

³⁵ საქართველოს კანონი სადაზვერვო საქმიანობის შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 2010

მოცემული ნორმატიული აქტის მიხედვით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომლის შემადგენლობაშიცაა კონტრდაზვერვის დეპარტამენტი და ანტიტერორისტული ცენტრი, ქვეყნის სადაზვერვო სისტემის მიღმაა. მაშინ როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები ახორციელებენ მხოლოდ კონტრსადაზვერვო და არა სადაზვერვო საქმიანობას.

ამავდროულად, კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით³⁶, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ქვეყანაში ორგანიზებასა და კოორდინირებას უწევს ერთიან კონტრსადაზვერვო საქმიანობას. ამავე კანონის მიხედვით, სპეციალური და სხვა უწყებები ვალდებულები არიან კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიანოდონ „ნებისმიერი მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებთან“. აღნიშნული ჩანაწერი არაერთგვაროვნად შესაძლებელია იქნას გაგებული, ვინაიდან სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესს ატარებს ნებისმიერი სახის სადაზვერვო ინფორმაცია. შესაბამისად, აღნიშნული ნორმატიული შინაარსი იძლევა იმგვარი ინტერპრეტირების საშუალებას, რომლითაც უსაფრთხოების სფეროს უწყებებს ექმნებათ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და კონკრეტულად, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წინაშე, ანგარიშვალდებულება, რაც წინააღმდეგობაში მოდის თუნდაც დაზვერვის სამსახურის შესახებ კანონთან, რომლის მიხედვითაც „(დაზვერვის) სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე“³⁷.

წინააღმდეგობრივია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშვალდებულების საკითხი. საქართველოს კანონი „საქართველოს

³⁶ საქართველოს კანონი კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 2005

³⁷ საქართველოს კანონი დაზვერვის სამსახურის შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 2010, მუხლი 26

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ ანესრიგებს ხსენებული უწყების ანგარიშვალდებულების საკითხს. კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს პარლამენტის წინაშე. სამსახურის უფროსი, როგორც საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებათა სისტემის ხელმძღვანელი, ანგარიშვალდებულია აგრეთვე საქართველოს მთავრობის წინაშე“. თუმცა, სამსახურის საქმიანობის კონტროლისა და ზედამხედველობის თავში, კერძოდ 46-ე მუხლით, სამსახური ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინაშე. ამგვარი გაორება იწვევს მართვისა და კონტროლის პროცესის გაჭიანურებას და ქმნის პოლიტიზირების რისკებს.

მიუხედავად თვისობრივი სხვაობებისა, დაზვერვის სამსახურსა და უსაფრთხოების სამსახურს აერთიანებთ საერთო, სადაზვერვო საქმიანობის შინაარსი. პირველი მათგანი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ხოლო მეორე ქვეყნის შიგნით ახორციელებს ინფორმაციის მოძიებას ქვეყნის გარშემო არსებული საფრთხეების შესახებ და ამ ინფორმაციით უზრუნველყოფს პოლიტიკურ/სამხედრო ხელმძღვანელობას. თუმცა, არსებული ნორმატიული ჩარჩოს ფარგლებში, განსხვავდება ამ სამსახურების როგორც ანგარიშვალდებულების საკითხი, ასევე მათი ხელმძღვანელობის დანიშვნის წესი და ზოგადი კომპეტენციები (იგულისხმება უსაფრთხოების სამსახურის სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების უფლებამოსილება).

ასევე, სადაზვერვო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, სადაზვერვო სისტემას ზედამხედველობას უწევს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველზე ამტკიცებს ეროვნულ სადაზვერვო პროგრამას. მოცემული კანონის გარდა, აღნიშნული პროგრამა

წარმოადგენს სადაზვერვო სისტემისთვის ამოცანების განმსაზღვრელ დოკუმენტს. კანონში ბუნდოვანია ეროვნული სადაზვერვო პროგრამის მიღების პროცედურა და დამტკიცების წესი. გარდა ამისა, პრობლემურია უსაფრთხოების კონცეფციის ღირებულება და აქტუალობა - კონცეფციის ბოლო რედაქცია 2011 წლით თარიღდება³⁸.

რაც შეეხება სადაზვერვო სისტემის კონტროლს, კანონის თანახმად, ამ ფუნქციას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი, კონსტიტუციისა და საპარლამენტო რეგლამენტის მიხედვით³⁹. საპარლამენტო რეგლამენტის თანახმად, ნდობის ჯგუფის წინაშე ყოველწლიურად გასული წლის საიდუმლო საქმიანობისა და პროგრამის შესახებ, მოხსენებით წარდგებიან შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები. ასევე, ნდობის ჯგუფის წინაშე ხდება იმ შესყიდვების განხილვა რომელიც კონკრეტულ ზღვრებს აჭარბებს (პროდუქციის ან მომსახურების შემთხვევაში 2 მილიონ ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს შემთხვევაში 4 მილიონ ლარს)⁴⁰.

აღნიშნულ ფარგლებში კონტროლს ექვემდებარება, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული დაზვერვის სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო და თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო კომპეტენციის ქვედანაყოფები (სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი). თუმცა, აღნიშნული მოწესრიგების ფარგლებში ამ უკანასკნელის საქმიანობაზე ნდობის ჯგუფის მიერ განხორციელებული კონტროლის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

გამოცდილება

³⁸ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, 2020, <https://bit.ly/2XJmM75>, 20.09.2021

³⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს პარლამენტი, 2018

⁴⁰ იქვე

სადაზვერვო სისტემის ზოგადი კრიტერიუმი გამომდინარეობს, მისი შინაარსიდან, რამდენად ახერხებს იგი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას შესაბამის განზომილებაში - მოიპოვებს კრიტიკულ ინფორმაციას ქვეყნისთვის საფრთხის ასარიდებლად, იცავს სახელმწიფო საიდუმლოებას და ეფექტურად უჭერს მხარს ქვეყნის არჩეული პოლიტიკის წარმატებით გატარებას.

დამოუკიდებლობის 30 წელიწადში, არაერთი ფაქტი და შემთხვევა გამოიკვეთა სადაც გამოჩნდა როგორც სადაზვერვო სისტემის წარმატება, ისე ჩავარდნა. გამოცდილების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული პოლიტიკური გარემო ამ ფაქტების მიმოხილვისას.

პირველ რიგში, ქვეყნის უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას ეგზისტენციალური საფრთხის მქონე შემთხვევები წარმოადგენს. ამგვარად, ცალსახად შეიძლება ჩაითვალოს ომი. ასეთ კი თანამედროვე საქართველოს რესპუბლიკისთვის არაერთხელ მოხდა. საომარი მდგომარეობები 1991-93 წლებში, დაზვერვის სისტემის შესაფასებლად არ იქნება შედეგიანი, ვინაიდან, მიუხედავად სადაზვერვო სამსახურების არსებობისა, ამ პერიოდში არ არსებობდა კონსტიტუციური წესწყობილება და გამართული სახელმწიფო ინსტიტუტები. შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში სისტემის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ის პერიოდი, როდესაც აღნიშნული სისტემა ფუნქციონირებს სამართლებრივი სახელმწიფოს და პრინციპების ფარგლებში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევისთვის მისაღებია ის კრიზისები თუ აქტივობები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1995 წლის შემდგომ.

გორის ტერაქტი, 2005 წელი

2005 წლის 1 თებერვალს გორში, პოლიციის ადმინისტრაციულ შენობასთან დანალმული მანქანა აფეთქდა. აფეთქების შედეგად დაიღუპა 3 და დაიჭრა 30-მდე პირი⁴¹.

უსაფრთხოების სამსახურებმა ვერ შეძლეს ტერაქტის თავიდან აცილება, რაც ცალსახად ინფორმაციის არქონაზე მიუთითებს, თუმცა მეორე მხრივ, მომხდარიდან დაახლოებით 5 თვეში, კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა საქმე გახსნა. დეპარტამენტის მიერ, იმ დროისთვის სეპარატისტების კონტროლირებად ქალაქ ცხინვალში, ჩატარებული ოპერაციის შედეგად დაკავებულ იქნა 3 პირი⁴². აღნიშნული პირების აღიარებითი ჩვენების მიხედვით, მათ დავალებას რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცრები ესა ესა და ესა აძლევდნენ. აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის მხარეს მოსთხოვა აღნიშნული პირების გადმოცემა. გარდა ამისა, კონტრდაზვერვის სამსახურმა ამ ფაქტის გამოძიებით, მოახერხა 2004 წელს, საქართველოში განხორციელებული ორი ტერაქტის განმახორციელებლების გამოვლენა.

აღნიშნული ოპერაცია სადაზვერვო სისტემის წარმატებად შეიძლება იქნეს მიჩნეული, ორი ფაქტორის გამო - პირველ რიგში სისტემამ შეძლო პოსტფაქტუმ წარმატებული ღონისძიებების გატარება, კერძოდ, ჩამდენთა გამოვლენა და მათი შეპყრობა არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. მეორე - აღნიშნული ოპერაციით, თავიდან იქნა არიდებული შესაძლო შემდგომი ტერაქტები. ამ უკანასკნელი თქმის საბაბას იძლევა ის გარემოება, რომ დაკავებული პირების ცნობით, მათ და კიდევ 10-მდე პირმა, სპეციალური მომზადება გაიარეს დივერსიული ოპერაციების განსახორციელებლად, რის საფუძველზეც გორში მომხდარი ტერაქტი, მათ მიერ

⁴¹ Civil.ge, “*ოქრუაშვილი: ეს კარგად ორგანიზებული ტერაქტი იყო*”, 2005, <https://bit.ly/3CpFAHa>, 20.09.2021

⁴² Civil.ge, “*თბილისის განცხადებით, გორის ტერაქტის უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან*”, 2005 <https://bit.ly/3ksqQcS>, 20.09.2021

ჩატარებული მე-3 აქტს წარმოადგენდა, რაც მიუთითებს აქტივობების განგრძობით ხასიათზე.

რუსეთ-საქართველოს ომი, 2008 წელი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი წარმოადგენს ყველაზე დიდ ჩავარდნას სადაზვერვო სისტემის ფუნქციის შესრულებაში, კონკრეტული კუთხით: ცხადია, როდესაც სხვა სახელმწიფოს განზრახული აქვს სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის წარმოება, დაზვერვის სისტემა, პოლიტიკურ სისტემასთან ერთად, უძლურია აღნიშნული საფრთხე წინასწარ გამოვლენის მიუხედავად, გაანეიტრალოს და თავიდან აირიდოს (იგულისხმება ის გარემოება როდესაც ომის წარმოება სახელმწიფოს ინტერესებშიც არ შედის). თუმცა, 2008 წლის შემთხვევაში იყო მეორე ასპექტი, რამაც თავი იჩინა ომის შემსწავლელი კომისიის სხდომაზე, გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელის მოსმენისას.

იმ დროისთვის საქართველოს არმიის ხელმძღვანელის, ზაზა გოგავას განცხადებით⁴³:

ა) „სამხედრო, საგარეო დაზვერვის და კონტრდაზვერვის დეპარტამენტებიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ამ დონის აგრესიაზე არცერთი ქმედება არ მიუთითებდა. პირდაპირ მინიშნებას არ გვაძლევდა მათი [რუსული ძალების] კონცენტრაცია საზღვართან. თუ ქონდათ დაზვერვის სამსახურებს ინფორმაცია, ისინიც ვითარების დაძაბვას პროგნოზირებდნენ სექტემბერ-ოქტომბერში.“

ბ) „ჩვენ არ ველოდით იმას, რაც დაიწყო 9 აგვისტოს [ფართომასშტაბიანი რუსული აგრესია]. ეს პირდაპირ ითვალისწინებდა ქვეყნის დედაქალაქის აღებას.“

გ) „გორის დაცვის ხაზი არ გაკეთდა იმიტომ, რომ ამ ტიპის აგრესიას არ მოველოდით.“

⁴³ Civil.ge, “ომის შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიამ გაერთიანებული შტაბის უფროსს მოუსმინა”, 2008, <https://bit.ly/2XBCrow>, 20.09.2021

აღნიშნული განცხადებებით იკვეთება შემდეგი: სადაზვერვო სისტემამ ვერ შეძლო პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის ინფორმაციით უზრუნველყოფა. შედეგად, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ხელმძღვანელობა განხორციელებულ აგრესიას შეხვდა მოუმზადებელი, რამაც გამოიწვია თანმდევი შედეგი.

ცხადია, არაფრის მომცემია იმაზე საუბარი, წინააღმდეგ მოხდენის შემთხვევაში ზიანი რამდენად იქნებოდა შემცირებული და ა.შ. თუმცა ფაქტია, სადაზვერვო სისტემამ საკუთარი N1 ფუნქცია ვერ შეასრულა 2008 წლის ომთან დაკავშირებით.

ოპერაცია „ენვერი“, 2010 წელი

2006 წელს, საქართველოს სახელმწიფომ გამოაცხადა ერთგვარი „ქმედითი მონაწილის“ პოლიტიკა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან მოთანამშრომლე პირებზე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა ის პირები, რომლებიც თავად გამოცხადდებოდნენ შესაბამის უწყებაში და აღიარებდნენ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას.

ამ პოლიტიკამ, ხელი შეუწყო 2010 წელს ჩატარებულ მასშტაბურ ღონისძიებას სახელწოდებით „ენვერი“, რომლის ფარგლებშიც გამოვლენილ იქნა რუსეთის სასარგებლოდ მომუშავე 9 საქართველოს მოქალაქე (მათ შორის შეიარაღებული ძალების წევრები) და 4 რუსეთის ფედერაციის მოქალაქე⁴⁴.

აღნიშნული ოპერაცია ცალსახად უწყობდა ხელს როგორც გადაბირებულ პირთა წრის ზრდის შეჩერებას, ამავედროულად შესაბამისი ღონისძიების შედეგად, დაცულ იქნა სახელმწიფო საიდუმლოებანი. კონტრდაზვერვით საქმიანობას

⁴⁴ Civil.ge, “*ჯაშუშების*” საქმეზე 4 რუსეთის და 9 საქართველოს მოქალაქე დაკავებული”, 2010, <https://bit.ly/3CvW2Gc>, 20.09.2021

მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული ოპერაცია ცალსახად შეიძლება იქნეს მიჩნეული სადაზვერვო სისტემის წარმატებად.

მიუხედავად ამგვარი ოპერაციისა, 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული პირები მოხვდნენ პოლიტპატიმართა სიაში. მიუხედავად იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის პოზიციისა, აღნიშნული პირებით პარლამენტის გადანწყვეტილებით გათავისუფლებულ იქნენ⁴⁵.

ფოტოგრაფების საქმე

სადაზვერვო სისტემისთვის რეზონანსულ საქმედ იქცა ე.წ. „ფოტოგრაფების საქმე“, რომლის ფარგლებშიც 3, მათ შორის პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი იქნა დაკავებული რუსეთის დაზვერვის სამსახურზე მუშაობის ბრალდებით. იმდროინდელი საზოგადოების ნაწილი, მომხდარს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აღიქვამდა. მიუხედავად სამივე პირის მიერ აღიარებითი ჩვენებისა⁴⁶, 2018 წელს, სააპელაციო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი, გამამართლებელით შეცვალა⁴⁷.

აღნიშნული საქმე ერთ-ერთი თვალსაჩინო შემთხვევაა, როდესაც ხდება სადაზვერვო საზოგადოების ან მისი ერთ-ერთი უწყების შიდა პოლიტიკურ ბრძოლაში გამოყენება, რაც უარყოფითად აისახება მის ნდობის ხარისხზე საზოგადოებაში. გარდა ამისა, ეცემა მისი ეფექტურობა საკუთარი ამოცანის შესრულებისას.

აჰმედ ჩატაევის საქმე, 2010-17 წლები

⁴⁵ Civil.ge, „საკაპშილი პარლამენტს მისი ვეტოს დაძლევის გამო აკრიტიკებს“ 2012, <https://bit.ly/3lKO6d8>, 20.09.2021

⁴⁶ Civil.ge, „ფოტოგრაფების საქმე შესაძლოა საპროცესო შეთანხმებით დასრულდეს“, 2011, <https://bit.ly/3koxkRz>, 20.09.2021

⁴⁷ აჭარის ტელევიზია, „ფოტოგრაფების საქმე - ჯაშუშობაში ბრალდებულები სასამართლომ გაამართლა“, 2018, <https://bit.ly/3hPSJSd>, 20.09.2021

აჰმედ ჩატაევის საქმე, სისტემის არაერთ მტკივნეულ საკითხს წარმოაჩენს.

ჩატაევი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ყოფილი მოადგილის, გია ლორთქიფანიძის განცხადებით, 2010 წელს იქნა გადაბირებული ქართული სპეცსამსახურების მიერ⁴⁸. ლორთქიფანიძის განცხადებით, მისი დახმარებით არაერთი ტერაქტი იქნა თავიდან არიდებული. თუმცა 2012 წელს, ჩატაევი შუამავლად იქნა გამოყენებული ლათანყურის ტყეში მყოფ შეიარაღებულ ჯგუფთან, რომელიც რუსეთის ფედერაციაში აპირებდა გადასვლას. მოლაპარაკებების წარუმატებლად დასრულების შემდეგ, ჩატაევი შეუერთდა შეიარაღებულ პირებს. ჯგუფის გასანეიტრალებლად, მოლაპარაკებების ჩაშლის შემდგომ, დაიწყო სპეციალური ოპერაცია, რომლის ფარგლებშიც დაიღუპა შეიარაღებული ჯგუფის 11 წევრი და სპეცდანიშნულების ძალების 3 მებრძოლი. დაჭრილი აჰმედ ჩატაევი დაკავებულ იქნა ქართველი სამართალდამცავების მიერ, თუმცა მტკიცებულებების არარსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა და 2013 წელს იგი გათავისუფლდა პატიმრობიდან.

გათავისუფლების შემდგომ, ჩატაევმა დატოვა ქვეყანა და სირიაში ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუერთდა. 2015 წელს, აშშ-მ ჩატაევი “ტერორისტების შავ სიაში“ შეიყვანა⁴⁹.

იგი საქართველოში 2017 წელს კვლავ გამოჩნდა.

2017 წლის 22 დეკემბერს ე. თბილისში ჩატარდა ანტიტერორისტული ოპერაცია, რომლის ფარგლებშიც ლიკვიდრებულ იქნა აჰმედ ჩატაევი და მასთან ერთად მყოფი 2

⁴⁸ Nemtsova Anna, Daily Beast, “*Mastermind of Istanbul Airport Attack Had Been Georgian Informant, Official Says*”, 2016, <https://bit.ly/3knB8ma>, 20.09.2021

⁴⁹ U.S. Department Of The Treasury, 2015, <https://bit.ly/3ELr9zs>, 20.09.2021

პირი. ოპერაციის მიმდინარეობისას, სასიკვდილოდ დაიჭრა სპეციალური დანიშნულების რაზმის ერთ წევრი⁵⁰.

საგანგაშოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ფარგლები გადმოლახა და გარკვეული პერიოდი ქვეყანაში ცხოვრობდა ინტერპოლის მიერ ტერორიზმის ბრალდებით ძებნილი აჰმედ ჩატაევი, რომელსაც თან ჰქონდა საკმარისი შეიარაღება და საბრძოლო მასალა სპეცდანიშნულების რაზმისთვის დაახლოებით 20 საათიანი წინააღმდეგობის გასაწევად.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ჩატაევი და მისი ჯგუფის წევრები თავს აფარებდნენ სახლს, რომელშიც წინათ უკვე იყო ჩატარებული კონტრტერორისტული ღონისძიება⁵¹.

აჰმედ ჩატაევის საქმე არაერთ ნაკლოვანებაზე მიუთითებს: ადამიანური რესურსის მართვა 2012 წელს დასრულდა კრახით, ვინაიდან მონინააღმდეგის მხარეს გადავიდა რეკრუტირებული პირი, რაც ცხადყოფს მის მართვასა და შეფასებაში (როგორც რესურსის) დაშვებულ შეცდომებს. შემდეგი შეცდომად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს სამართლებრივი შედეგის დაუდგომლობა. თუ არ გაასამართლეს, როგორც შეიარაღებული ჯგუფის წევრი, შეიძლება მხოლოდ ერთ რამეზე მიუთითებდეს - იყო მცდელობა ხელახლა რეკრუტირებისა. ამ შემთხვევაში, მხედველობაში იყო მისაღები წარსული გამოცდილება. მიუხედავად ამისა, იგი გათავისუფლებულ იქნა და გახდა ტერორისტული ორგანიზაციის წევრი.

მიუხედავად საერთაშორისო ძებნისა, მან მოახერხა საზღვრის გადმოლახვა და ქვეყანაში ხანგრძლივად შეუმჩნევლად ყოფნა (შეუმჩნევლად, რადგან 22 დეკემბრის

⁵⁰ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, 2017, <https://bit.ly/2XN3XQq>, 20.09.2021

⁵¹ ალექსანდრე კვახაძე, *სპეცოპერაცია ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე და მისი შედეგები*, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, <https://bit.ly/3nRzJ9O>, 20.09.2021

სპეცოპერაციის შემდგომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დანამდვილებით არ იცოდა ლიკვიდირებული პირებს შორის ერთ-ერთი იყო თუ არა აჰმედ ჩატაევი⁵²). როგორც შემდგომმა გამოძიებამ აჩვენა, მისი ჯგუფის წევრები, დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, ჩატაევმა და მისმა ჯგუფმა მნიშვნელოვანი რაოდენობით საბრძოლო მასალას, რითიც შეძლეს ათეულობით საათის განმავლობაში სპეციალური დანიშნულების ძალებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

აღნიშნული გარემოებები მიუთითებენ სადაზვერვოს სისტემის ჩავარდნაზე როგორც ადამიანური რესურსის მართვის, ისე საფრთხის კონტროლის თვალსაზრისით.

⁵² პირველი არხი, „ვახტანგ გომელაური არ გამორიცხავს, რომ სპეცოპერაციის დროს მოკლული პირი შესაძლოა, აჰმედ ჩატაევი იყოს“, 2017, <https://bit.ly/3lO30Qa>, 20.09.2021

თანამედროვე ტენდენციები

OSINT – DarkWeb, SOCMINT, Big Data და AI

ღია წყაროების სადაზვერვო ინფორმაციად გამოყენება ისტორიული პრაქტიკაა. მედიის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა ღია წყაროების დატვირთვაც. თუმცა ამ მიმართულებით ახალი ეტაპი სოციალური ქსელების გამოჩენასთან ერთად დაიწყო.

Twitter, Facebook, Telegram, V Kontakte - ეს იმ სოციალური ქსელების მცირე ჩამონათვალია, რომელიც თართოდაა დღეს გავრცელებული მსოფლიოში. საერთო ჯამში, 2021 წლის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით სოც. ქსელების აქტიური მომხმარებლების რიცხვი 4 მილიარდს აჭარბებს⁵³.

აღნიშნული ქსელების გამოყენებით, გამარტივდა კონკრეტული პირების ვინაობის, მათი ახლო კავშირების, მდებარეობის, ინტერესების და პერსონალური ინფორმაციის დადგენა. ამავდროულად, შესაძლებელია მათი ან გარკვეული ადგილების ფოტო და ვიდეო მასალების მოპოვება. ამგვარმა შესაძლებლობებმა მოახდინა დიდი რაოდენობით ინფორმაციის აკუმულირება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სადაზვერვო სისტემისთვის როგორც ოპერატიული დანიშნულებით სპეციალურ ღონისძიებებში, ასევე ანალიტიკური პროდუქტის

⁵³ Statista, 2021, <https://bit.ly/39kxyTt>, 20.09.2021

სრულყოფისათვის. სოციალური ქსელების მნიშვნელობის ამგვარი გაზრდის ფონზე, თეორიაში ჩამოყალიბდა დაზვერვის ახალი მიმართულებაც SOCMINT (SOCial Media INTelligence - სოციალური ქსელებით დაზვერვა), რომელიც სოციალურ ქსელებს, როგორც დაზვერვის გვარეობას გამოყოფს ღია წყაროების - OSINT-ის (Open Source INTelligence - ღია წყაროებით დაზვერვა) გვარეობისგან.

აქტიურ ღონისძიებებში გამოყენების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნები. რუსეთი და მისი სპეცსამსახურები, აქტიურად შეეცადნენ სხვადასხვა მეთოდებთან ერთად, სოციალური ქსელების საშუალებით გავლენა მოეხდინათ არჩევნების შედეგებზე. გარდა ამისა, აღნიშნული პლატფორმები გამოიყენებოდა მოსახლეობაში შუღლისა და უნდობლობის გასაღვივებლად, რაც გამოიხატებოდა მოწოდებებსა და წახალისებებში⁵⁴. მაგალითად, რუსული ე.წ. „ტროლების ქარხანა“ აქტიურად ახალისებდა სეპარატისტულ მოძრაობებს კალიფორნიასა და ტექსასში. ანალოგიური „ქარხანა“ ურჩევდა აფრო-ამერიკულ საზოგადოებას არჩევნების ბოიკოტირებას ან ხმის მიცემისას არასწორი პროცედურის გამოყენებას, პარალელურად კი ულტრა-მემარჯვენე მოძრაობის წევრებს მოუწოდებდა მეტი აგრესიულობისკენ.

სოციალური ქსელებისა და DarkWeb-ის ურთიერთქმედების შედეგიანობამ, სადაზვერვო სისტემებს გაუჩინა, როგორც შესაძლებლობები, ასევე თავსატეხები.

დამოუკიდებელ, მოხალისე გამომძიებელთა ორგანიზაცია „ბილინგქეთის“⁵⁵ მიერ ჩატარებულმა გამოძიებებმა და კვლევებმა, ცხადყო, თუ რაოდენ ემედიოვნარიანად არის შესაძლებელი ღია წყაროებისა და DarkWeb-ის გამოყენება.

⁵⁴ Hosenball, Mark, Reuters, “Russia used social media for widespread meddling in U.S. politics: reports”, 2018, <https://reut.rs/2XGj0LK>, 20.09.2021

⁵⁵ Bellingcat, 2021, <https://bit.ly/3EE2BIi>, 20.09.2021

პირველ რიგში აუცილებელია განხილულ იქნეს თუ რა არის Dark Web-ი („ბნელი ქსელი). Deep web-ი წარმოადგენს ინტერნეტ სივრცის იმ ნაწილს, რომელიც არ ჩნდება საძიებო ძრავებში (მაგ. Google-სა და Bing-ში). ესაა ვებ სივრცე, რომელშიც საჭიროა კონკრეტული მისამართების ცოდნა სასურველ საიტებზე მოსახვედრად. გარდა ამისა ამ პროცესისთვის აუცილებელია სპეციალური ინტერნეტ ბრაუზერიც. რაც შეეხება Dark Web-ს, იგი წარმოადგენს Deep Web-ის იმ ნაწილს, რომელშიც ფიგურირებს არაკონონიერი საქმიანობა, უკანონო პროდუქციით ვაჭრობა და ა.შ.

ერთ-ერთი ასეთი უკანონო პროდუქტი აღმოჩნდა რუსული საინფორმაციო ბაზები, როგორც უსაფრთხოების სამსახურების, ასევე საჯარო და კერძო სექტორის მონაცემთა ბაზები.

„ბელინგკეტმა“ ღია წყაროებისა და Dark Web-ის მეშვეობით არაერთი საქმე გამოიძია, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო რუსი ოპოზიციონერის, ალექსეი ნავალნის მკვლელობის მსჯელობა იყო, რომელიც როგორც გამოძიებამ აჩვენა რუსული უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის მიერ იქნა განხორციელებული⁵⁶.

სოციალური ქსელებისა და Dark web-ის ამგვარმა გამოყენებამ წარმოაჩინა, როგორც სოციალური ქსელების, ასევე Dark Web-ის მნიშვნელობა სადაზვერვო საქმიანობაში. თუკი, ამ სერვისებამდე კონკრეტული პირის ოფიციალური მონაცემების მოსაპოვებლად, საჭირო იყო სისტემის გატეხვა ან პირის გადმოხილება სისტემის შიგნით, დღეისათვის ამისთვის საჭიროა მხოლოდ შესაბამისი ღირებულების გადახდა და არსებობს როგორც მომსახურება.

მეორე მხრივ, ამგვარი პლატფორმა რისკია საკუთარი ინსტიტუციებისთვის, რათა ანალოგიური არ მოხდეს სისტემის რომელიმე, შესაბამისი შესაძლებლობის და

⁵⁶ Bellingcat, “Hunting the Hunters: How We Identified Navalny’s FSB Stalkers”, 2020, <https://bit.ly/3AtD6af>, 20.09.2021

წვდომის მეორე უწყების წარმომადგენლის მხრიდან - ინტერნეტ „შავ ბაზარზე“ გატანილ იქნას მოსახლეობის ან სპეცსამსახურების თანამშრომლების პირადი ინფორმაცია და ა.შ.

მნიშვნელოვანი საკითხია ინფორმაციის გაზრდილი ნაკადების ზუსტი და სწრაფი დამუშავების პრობლემა. განსაკუთრებით სოციალური ქსელებისა და ღია პლატფორმების განვითარებამ „გაამწვავა“ აღნიშნული გამოწვევა. ინფორმაციის მოპოვების ავტომატიზაციამ და გაზრდილმა მონაცემთან ნაკადებმა წარმოშვა ე.წ. „Big Data“. ინფორმაციის რაოდენობის პრობლემა დამუშავების თვალსაზრისით, ცხადია ახალი საკითხი არაა სადაზვერვო საზოგადოებისთვის, თუმცა, მისი მოპოვების ავტომატიზაციამ გააჩინა მოთხოვნა მისი დამუშავების კუთხით. სწორედ ამ მიმართულებით იქნა დანერგილი ხელოვნური ინტელექტი მონაცემთა დამუშავების პროცესში.

2020 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო საზოგადოებამ გამოსცა სადაზვერვო სამსახურებისთვისთვის სახელმძღვანელო პრინციპები და ეთიკური სტანდარტები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასა და განვითარებაზე სადაზვერვო საქმიანობაში⁵⁷. საზოგადოების მიერ წამოჭრილია შემდეგი პრინციპები⁵⁸:

- კანონის პატივისცემა და მოქმედების თავსებადობა (კანონთან)
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება (ხელოვნური ინტელექტის განვითარების კუთხით)
- ობიექტურობა და სამართლიანობა
- ადამიანზე დაფუძნებული სისტემის განვითარება და გამოყენების პრინციპი
- უსაფრთხოება და მედეგობა
- თანამშრომლობა სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მიმართულებებთან

⁵⁷ Office of the Director of National Intelligence, 2020, <https://bit.ly/2XAklnb>, 20.09.2021

⁵⁸ U.S. Intelligence Community, 2020, <https://bit.ly/2XH518B>, 20.09.2021

აღნიშნული სტანდარტები მიუთითებს მოცემული სფეროს განვითარების მასშტაბებსა და ეტაპებზე. ცალსახაა, რომ ტექნოლოგიის როლი ინფორმაციის მოპოვებასა და მის დამუშავებაში კიდევ უფრო გაიზარდა. შესაბამისად აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს შესაძლებლობას სადაზვერვო უწყებისთვის, რათა მისი პროდუქტი იყოს მეტად სრულყოფილი ინფორმაციის თვალსაზრისით და სწორი ალგორითმის გამოყენებით მეტად ზუსტი ანალიტიკური შეფასების პროცესში.

თუმცა, ამგვარ ტექნოლოგიურ გარღვევას თან ახლავს გამონვევებიც დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ჩინეთი, რომელიც თვართოდ ნერგავს ხელოვნურ ინტელექტს საკუთარ უსაფრთხოების სამსახურში მოსახლეობაზე ტოტალური კონტროლის განსახორციელებლად⁵⁹.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი თანამედროვე ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გამოყენება, სადაზვერვო სისტემაში მოხდეს დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტური კონტროლის ფარგლებში, რათა თავიდან იქნეს არიდებული უსაფრთხოების სამსახურების მიერ ტექნოლოგიური პროგრესის ბოროტად გამოყენების შემთხვევები.

კიბერ დაზვერვა

ტექნოლოგიურმა პროგრესმა კიდევ ერთ, სადაზვერვო გვარეობას მისცა დასაბამი. კიბერ დაზვერვა წარმოადგენს დაზვერვის მიმართულებას, რომელიც გულისხმობს სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას, ან სადაზვერვო ღონისძიების განხორციელებას კიბერ საშუალებებით, მაგ. ვირუსული პროგრამებით, კომპიუტერული სისტემების მყარი დეტალების საშუალებით (ე.წ. Hardware-ით) და ა.შ.

⁵⁹ Ross Andersen, The Atlantic, September 2020, <https://bit.ly/3u4fXZO>, 20.09.2021

ამ მიმართულებით ბოლო ათწლეულში, განსაკუთრებით წარმოჩინდა ამ გვარეობის ეფექტურობა.

ისრაელმა, აშშ-ს სპეცსამსახურებთან ერთად⁶⁰, განხორციელებული კიბერ ოპერაციის საშუალებით, მწყობრიდან გამოიყვანა ირანის ბირთვული ინფრასტრუქტურა⁶¹. აღნიშნული ოპერაცია შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს აქტიურ ღონისძიებად, რომლის ფარგლებშიც სადაზვერვო სამსახურმა, გაანეიტრალა ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სადაზვერვო ოპერაცია, რომელიც კიბერ დაზვერვის ფარგლებში განხორციელდა, იყო 2015 წელს, აშშ-ს კადრების მართვის სამსახურზე განხორციელებული თავდასხმა, რომლითაც თავდამსხმელმა შეძლო ათეულობით მილიონი ამერიკელი ფედერალური საჯარო მოხელის პირადი ინფორმაციის მოპოვება⁶². აღნიშნული თავდასხმა შეფასებულ იქნა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შედეგების მქონე ამერიკის ისტორიაში. აშშ-ს ოფიციალური პირების განცხადებით, აღნიშნული თავდასხმის უკან ჩინური სპეცსამსახურები იდგნენ⁶³.

კიდევ ერთ თვალსაჩინო ოპერაციას წარმოადგენს კომპანია SolarWinds-ზე თავდასხმა. აღნიშნული თავდასხმის სენსიტიურობის მიზეზი ამ კომპანიის მნიშვნელობაა. მისი ციფრული პროდუქტები გამოყენებული იყო მთელი რიგი საჯარო სამსახურების ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მართვაში. შედეგად, ჩატარებული ოპერაციით, თავდამსხმელებმა მოიპოვეს ამ სამსახურების სისტემებზე წვდომა მათ

⁶⁰ Ellen Nakashima & Joby Warrick, The Washington Post, “Stuxnet was work of U.S. and Israeli experts, officials say” June 2 2012, <https://wapo.st/3zCaTgt>, 20.09.2021

⁶¹ Michael Holloway, Stanford University, “Stuxnet Worm Attack on Iranian Nuclear Facilities”, Winter 2015, <https://stanford.io/3AmSTHX>, 20.09.2021

⁶² Jim Miklaszewski & Alex Johnson, NBC News, “Officials: China Suspected of U.S. Data Breach Affecting Millions”, 2015, <https://nbcnews.to/3hSYXAS>, 20.09.2021

⁶³ Nicole Perlroth, The New York Times, “How China Transformed Into a Prime Cyber Threat to the U.S.”, 2021, <https://nyti.ms/3nRHhOg>, 20.09.2021

შორის აშშ-ს არმიის ყველა სეგმენტში, პენტაგონში, სახელმწიფო დეპარტამენტში, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოში და სხვა⁶⁴.

აღნიშნული თავდასხმის უკან, ოფიციალური აშშ-სა⁶⁵ და ბრიტანეთის⁶⁶ პოზიციის თანახმად, რუსეთი და მისი საგარეო დაზვერვის სამსახური იდგა.

მოცემული მაგალითები ცხადყოფს კიბერ დაზვერვის ეფექტურობას. მისი მთავარი დადებითი მხარე შედარებითი ხარჯი და უსაფრთხოებაა. კიბერ უსაფრთხოების სფერო შედარებით ახალი განზომილებაა, სადაც სახელმწიფოები ჯერ კიდევ არ არიან შეჯერებული ერთიან მიდგომაზე. აქედან გამომდინარე არ არსებობს საყოველთაო სახელმწიფოთაშორისი რეგულაციები, რომელიც სავალდებულო ჩარჩოებს აწესებს და გულისხმობს დარღვევის შემთხვევაში თანმდევ შედეგებს. გარდა ამისა, აღნიშნული გვარეობის უპირატესობა, შედარებით უსაფრთხოებაშიცაა, ვინაიდან უმეტესწილად იგი წარმოებს დისტანციურად და არ მოითხოვს დაზვერვის ოფიცრის ან ცალკეული ადამიანური რესურსების მტრის/მონინააღმდეგის ტერიტორიაზე ჩასვლას. შესაბამისად ოპერაციის ჩავარდნის შემთხვევაში, ადამიანური რესურსის დაკარგვის რისკიც არ არსებობს.

ცხადია, როგორც სხვა შემთხვევაში, ანალოგიურად კიბერ დაზვერვაც გამოწვევაა კონტრდაზვერვისთვის, ვინაიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, მოიცავს საკუთარ თავში საიდუმლო ინფორმაციის, კომუნიკაციის და მართვის სისტემებსაც, რომელიც მოითხოვს დაცვას გარე ჩარევისა და ხელყოფისგან. ასევე, უზრუნველსაყოფია პირატული და არაოფიციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენების

⁶⁴ Ellen Nakashima & Craig Timberg, The Washington Post, “Russian government hackers are behind a broad espionage campaign that has compromised U.S. agencies, including Treasury and Commerce”, 2020, <https://wapo.st/2XBcC8P>, 20.09.2021

⁶⁵ Dustin Volz, The Wall Street Journal, “In Punishing Russia for SolarWinds, Biden Upends U.S. Convention on Cyber Espionage”, 2021, <https://on.wsj.com/39jByUu>, 20.09.2021

⁶⁶ Joe Tidy, BBC, “SolarWinds hack: Russian denial ‘unconvincing’”, 2021, <https://bbc.in/3AtJChd>, 20.09.2021

პრევენცია. ვინაიდან კიბერ ოპერაციები ყოველდღიურად იხვეწება, აქტუალობას არ კარგავს პრობლემაც. შესაბამისად, კონტრდაზვერვისგან მოითხოვს მუდმივ მუშაობას, რათა გამოვლენილ იქნას კიბერთავდასხმის ახალი მეთოდები და გატარდეს შესაბამისი ზომები მათ გასანეიტრალებლად.

ამ საკითხს პრობლემატურობას სძენს კიდევ ასპექტი - კადრები. ადამიანური რესურსი, რომელიც დარგის სპეციალისტს წარმოადგენს საკმაოდ მოთხოვნადია, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისთვის. ვინაიდან, კიბერ დანაშაულების ზრდამ, კიდევ უფრო გაზარდა მოთხოვნა კიბერ უსაფრთხოების სპეციალისტებზე. შესაბამისად, სადაზვერვო სისტემას, როგორც დამსაქმებელს, უნევს კონკურენცია გაუწიოს კერძო კომპანიებს, სადაც ანაზღაურება გაცილებით მაღალია საჯარო სექტორთან შედარებით.

შესაძლებლობები და გამოწვევები ქართული ინსტიტუციებისთვის

უსაფრთხოების გარემო და პრიორიტეტები

მოცემული ნაშრომის კვლევის ერთ-ერთ თემას წარმოადგენს სწორედ საქართველოს სადაზვერვო სისტემის შესაძლებლობები და გამოწვევები, რაც მოითხოვს, განხილული თეორიული პრიზმიდან, საკითხის კრიტიკულ დამუშავებას და გადაჭრის გზების ძებნას. სანამ განხილული იქნება კონკრეტული შესაძლებლობები და გამოწვევები, რომლის წინაშეც საქართველოს სადაზვერვო საზოგადოება დგას, მნიშვნელოვანია მიმოხილულ იქნეს, ის უსაფრთხოების გარემო და გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას საქართველო, ვინაიდან სწორედ ამ გარემოებებიდან ამომდინარეობს ის ამოცანები რომელიც განსაზღვრავს სადაზვერვო ინსტიტუტების საქმიანობის მიმართულებებს.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და მისგან გამომავალი პრემიერ-მინისტრის სადაზვერვო პროგრამა წარმოადგენს სადაზვერვო სისტემისთვის ამოცანების განმსაზღვრელ წყაროს. ვინაიდან უკანასკნელი კლასიფიცირებულ

დოკუმენტს წარმოადგენს, ნაშრომისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ კონცეფციის მოქმედი რედაქცია⁶⁷.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ ღირებულებებს წარმოადგენს:

- სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა
- თავისუფლება
- დემოკრატია და კანონის უზენაესობა
- უსაფრთხოება
- კეთილდღეობა
- მშვიდობა

აღნიშნული ღირებულებებიდან გამომდინარეობს ეროვნული ინტერესები:

- სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა
- სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება
- ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება
- ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება
- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია
- ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა
- ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა
- საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება
- საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული და კულტურული

⁶⁷ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. თბ. 2011, <https://bit.ly/39l3eID>, 20.09.2021

- თვითმყოფობის უზრუნველყოფა
- კიბერუსაფრთხოების განმტკიცება
- დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ღიასპორებთან ურთიერთობა

2011 წლის რედაქციის მიხედვით, საქართველოს გარშემო შემდეგი საფრთხეები, რისკები და გამონწვევები იყრის თავს:

- რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტები
- რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დარღვევა
- კავკასიაში არსებული კონფლიქტები
- საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული
- ეკონომიკური და სოციალური გამონწვევები
- ენერგეტიკული გამონწვევები
- კიბერუსაფრთხეები
- ეკოლოგიური გამონწვევები
- დემოგრაფიული გამონწვევები
- სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამონწვევები
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება/განადგურება.

კონცეფციის თანახმად, სახელმწიფოსთვის N1 პრიორიტეტს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოადგენს. ცხადია, ლოგიკური გამონწვევა და შესაბამისად

N1 საფრთხეც ამ პრიორიტეტის უზრუნველყოფს გზაზე მყოფი რუსეთის ფედერაცია და მისი პოლიტიკაა. მნიშვნელობით N2 საფრთხეს წარმოადგენს რუსეთის მხრიდან სამხედრო აგრესიის ხელეახალი განხორციელების რისკი. ამავდროულად, საფრთხედაა განხილული ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვითა უფლებების დარღვევა და კავკასიაში არსებული კონფლიქტები.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონცეფცია 10 წლისაა, მოცემული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები კვლავ თანამედროვეა. ამას მონშობს გასულ წლებში მომხდარი ფაქტები, ზემოხსენებული საფრთხეების მიმართულებით.

გრძელდება აქტივობები რუსული საოკუპაციო ძალების მხრიდან⁶⁸, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ე.წ. „ბორდერიზაცია“, საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავება საოკუპაციო ხაზთან და ა.შ.

მუდმივი წვრთნისა და გადაიარაღების ფაზაშია რუსეთის შეიარაღებული ძალები და განსაკუთრებით სამხრეთის სამხედრო ოლქი, მათ შორის ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონში მყოფი მე-4 და მე-7 სამხედრო ბაზები (მექანიზებული ბრიგადის დონის შენაერთები თითოეულში).

არჩილ ტატუნაშვილის საქმე ნათლად წარმოაჩენს იმ საფრთხეს, რომლის ქვეშაც იმყოფება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი მოსახლეობა. არჩილ ტატუნაშვილი 2018 წლის 22 თებერვალის, ოკუპირებულ ახალგორში დააკავეს, საიდანაც ცხინვალში გადაიყვანეს. 23 თებერვალს, ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ე.წ. „უსაფრთხოების სამსახურის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, არჩილ ტატუნაშვილმა დაკავებისას წინააღმდეგობა გაუწია ბადრაგს და კიბეზე დაგორდა. შედეგად მიყენებული დაზანებების გამო კი საავადმყოფოში გარდაცვივალა.

⁶⁸ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2020 – 31.12.2020, 2021, <https://bit.ly/3lLu5TI>, 20.09.2021

დაახლოებით ერთი თვის მანძილზე მარიონეტული რეჟიმი უარს აცხადებდა ცხედრის ოფიციალური თბილისისთვის გადაცემაზე. საბოლოოდ, ცხედრის გადმოცემა 20 მარტს შედგა.

ცხედარზე ჩატარებული ექსპერტიზის მიხედვით, დადგინდა რომ არჩილ ტატუნაშვილი წამების შედეგად გარდაიცვალა⁶⁹.

გარდა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებისა, რეგიონალური კრიზისების თვალსაზრისითაც, საქართველო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ამ გარემოებაზე მიუთითებს 2020 წლის განახლებული კონფლიქტი საქართველოს მეზობელ ქვეყნებს - სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ომი, რომელიც 44 დღე გაგრძელდა, არ შემოიფარგლა მხოლოდ ხსენებული სახელმწიფოების ჩართულობით. საომარი პროცესის დარეგულირებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს რეგიონალურმა ძალებმა - რუსეთმა და თურქეთმა. სიტუაციის ამგვარმა მოწესრიგებამ, ცხადად აჩვენა⁷⁰ ძალთა წონასწორობა რეგიონში და მოვლენების შესაძლო განვითარების რისკები საქართველოს ინტერესების საზიანოდ.

გარდა სახელმწიფო აქტორებისა, წარსული და მიმდინარე რეალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ტერორისტული ორგანიზაციებისგან მომავალი საფრთხეები. მაგალითად, მიუხედავად სირიასა და ერაყში, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხებისა, აღნიშნული ორგანიზაცია აგრძელებს არსებობას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის მიერ, 2021 წლის 24 აგვისტოს, დაკავებულ იქნა⁷¹

⁶⁹ საქართველოს პროკურატურა, 2020, <https://bit.ly/3tUi5mA>, 20.09.2021

⁷⁰ ზურაბ ბატიაშვილი, „ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაცია: საფრთხეები და გამოწვევები საქართველოსთვის“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2020, <https://bit.ly/3zuSSjQ>, 20.09.2021

⁷¹ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, 2021, <https://bit.ly/3CpQX1O>, 20.09.2021

საქართველოს 5 მოქალაქე ხსენებული ტერორისტული დაჯგუფების წევრობის ბრალდებით.

რაც კონცეფციაში ვერ მოხვდა, ესაა ე.წ. „რუსული ჰიბრიდული ომი“, რომელიც თეორიული განხილვის საგანი უკრაინის 2014 წლის მოვლენების - რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და პრორუსული ჯგუფების მეშვეობით ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების ოკუპაციის შემდეგ გახდა.

საყურადღებოა ის ინსტრუმენტები, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლება იყენებს „ჰიბრიდულ ომში“, საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელის, ვალერი გერასიმოვის მიხედვით⁷², აღნიშნული ტიპის „ომი“ წარმოადგენს შემდეგი მეთოდების კომბინაციას:

- სამიზნე სახელმწიფოში ოპოზიციის ჩამოყალიბება
- პოლიტიკური და დიპლომატიური ზეწოლა
- ეკონომიკური სანქციები
- დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა
- საინფორმაციო ომი
- სპეციალური ოპერაციების გამოყენება
- სამხედრო ძალები სრულფასოვანი გამოყენება

მოცემული მეთოდები სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული კომბინაციით გამოიყენება. გერასიმოვის აზრით, არასაბრძოლო მეთოდების შეფარდება საბრძოლო ბერკეტებთან 4:1-თანაა. აღნიშნული თანაფარდობით მაქსიმალურად მიიღწევა არასაომარ ვითარებაში მოწინააღმდეგის გამოფიტვა და მიახლოება სასურველ პოლიტიკურ შედეგამდე. ამავდროულად, პროცესი ძირითადად

⁷² Герасимов Валерий, Ценность науки в предвидении. Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий; Военно-Промышленный Курьер, 26 февраля 2013 <https://vpk-news.ru/articles/14632>, 20.09.2021

მიმდინარეობს ფარულად და სწორედ სპეცსამსახურების მაქსიმალური ჩართულობით, რაც კიდევ უფრო ართულებს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქტივობების დროულ გამოაშკარავებას.

საქართველოს სადაზვერვო საზოგადოების შეფასება

სადაზვერვო სწავლებების თეორიაში არსებობს 6 ზოგადი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია შეფასდეს ქვეყნის სადაზვერვო სისტემა: მმართველობა, პროცესი, სტრუქტურები, უწყებრივი თანამშრომლობა ეთიკა და ზედამხედველობა.

მმართველობა: აღნიშნული კრიტერიუმი ეხება პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და სადაზვერვო სისტემის უერთიერობას. საქართველოს რეალობის გათვალისწინებით ამ მხრივ იკვეთება რიგი ხარვეზები. პირველ რიგში ეს ეხება სადაზვერვო კომპეტენციის მქონე უწყებების პოლიტიზირებას. ინტერვიუებში მიღებული ინფორმაციის თანახმად, პოლიტიკური ხელმძღვანელობა უპირატესობას ანიჭებს უწყების ისეთ ხელმძღვანელს, რომელიც პოლიტიკური ერთგულებით ხასიათდება. ეს უმეტესად ეხება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და თავდაცვის სამინისტროს. აღნიშნული შესაძლებელია გამოსწორებულ იქნეს უწყების ხელმძღვანელი პირების დანიშვნის წესის შეცვლით, უფრო დემოკრატიული მოდელით, რომელშიც მაღალი იქნება როგორც მმართველი ძალის, ასევე ოპოზიციის ჩართულობა, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე. დადებითი ეფექტი ექნება უწყების ხელმძღვანელის უფლებების შეკვეცას და მათზე, პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზრდას. აღნიშნული ცვლილება უფრო მედეგს გახდის საკადრო პოლიტიკას ხელმძღვანელის ცვლილებების წინაშე.

პროცესი: რესპოდენტების გამოცდილებით აღნიშნული პროცესი შედარებით დახვეწილი და შემდგარი, თუმცა გამონაკლისის სახით აქაც თავს იჩენს პოლიტიკური

სპექტრის გავლენა, ვინაიდან რიგ შემთხვევებში სადაზვერვო ცნობებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას, რესპოდენტის ინფორმაციით ჰქონია ადგილი იმ საკითხებზე უპირატესობის მინიჭებას, რომელიც მეტად მისაღებია პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის. ცალსახაა, აღნიშნული მიდგომა ისახება, როგორც სამსახურის ქმედითუნარიანობაზე, ასევე მის სადაზვერვო ნაწარმზე.

სტრუქტურები: ეროვნულ დონეზე საქართველოს სახელმწიფოს არაერთი სადაზვერვო კომპეტენციის უწყება გააჩნია. პირველი რესპუბლიკის გამოცდილება დღევანდელ უწყებებს არ ერგოთ. არსებული სისტემა, მიუხედავად სხვადასხვა ტიპის გარდაქმნისა, კვლავ საბჭოთა დანატოვარია. როგორც გამოცდილება აჩვენებს, სადაზვერვო სისტემებზე არაერთი „ექსპერიმენტი“ ჩატარდა - სხვადასხვა ორგანიზაციული რეფორმები, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა სადაზვერვო სამსახურების გაერთიანება და შემდეგ ხელახლა გაყოფა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამგვარ ცვლილებებს საფუძვლად არ უდევს კვლევა და არ ახლავს პოლიტიკურ თუ საექსპერტო დონეზე საჯარო განხილვა, რაც მიკერძოებული პოლიტიკური გადაწყვეტილების ეჭვებს ტოვებს.

უწყებრივი თანამშრომლობა: საქართველოს სადაზვერვო საზოგადოებაში ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, არსებობს კოოპერაციის პრობლემა. როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს სამი ძირითადი სადაზვერვო კომპეტენციის მქონე უწყება გააჩნია - დაზვერვის სამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი. ცხადია, ჰქონია ადგილი და კვლავ არსებობს შესაძლებლობა განმეორდეს სხვადასხვა უწყებების მხრიდან ერთი და იგივე საკითხების გადაფარვა, რაც ნიშნავს მინიმუმ ზედმეტ დახარჯულ რესურსს. საქართველოს შესაძლებლობების მქონე ქვეყნისთვის რესურსის საკითხი კრიტიკულია. უწყებათაშორისი თანამშრომლობის ოპტიმიზაციის მიზნით შეიქმნა სადაზვერვო თანამეგობრობის საბჭო 2004 წელს. თუმცა კვლევის ფარგლებში

გამოირკვა, რომ ამჟამად აღნიშნული საბჭო უმოქმედოა. საბჭოს შექმნის შესახებ გამოცემულ ბრძანებულებაში, ნახსენებია უშიშროების სამინისტრო, რომელიც აღარ არსებობს. აღნიშნული მონესრიგება ააშკარავებს სტრატეგიულ დონეზე კოოპერაციის ჩარჩოს არარსებობას, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიღმა.

ეთიკა: ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს დარგისთვის, წარმოადგენს ის სამუშაო ეთიკა, რომელიც არსებობს სადაზვერვო უწყებებში. ამ შემთხვევაში, სამუშაო ეთიკა გულისხმობს ხსენებულ სამსახურებში დამკვიდრებულ შიდა ორგანიზაციულ პრაქტიკას, რა მოდელით წარმოებს საკადრო პოლიტიკა, რამდენად დაცულია პოლიტიკური გავლენისგან, რა მეთოდებს იყენებს სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებზე საჯარო ინფორმაცია არ არსებობს, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი. პირველ რიგში ეს ეხება საკადრო პოლიტიკას და მის პოლიტიზირებას. პოლიტიზირებული საკადრო გადაწყვეტილებებისგან შედარებით დაცულია საგარეო და სამხედრო დაზვერვის სამსახურები, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ გავლენა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესზე. ერთი შეხედვით ამგვარი შედეგი დადებითად შეიძლება შეფასდეს, თუმცა მეორე მხრივ, აღნიშნული გარემოება მეტყველებს პოლიტ. ელიტის დამოკიდებულებაზე სადაზვერვო სამსახურების მიმართ, კერძოდ, პოლიტიკური ხელმძღვანელობა მათ აღიქვამს პოლიტიკურ ბერკეტად საკუთარი, პარტიული ინტერესების ჭრილში, რაც სხვა ამოცანების განმაპირობებელია სადაზვერვო საზოგადოებისთვის. დაზვერვა, დემოკრატიულ ქვეყნებში წარმოადგენს დამხმარე საშუალებას სახელმწიფო ინტერესების დაცვის და განხორციელების კუთხით. შესაბამისად, პოლიტიკური (პარტიული) გავლენა, სადაზვერვო სამსახურს უკარგავს ძირითად ფუნქციას. გარდა ამისა, ინტერვიუებიდან რიგ შემთხვევებში ჩანს პოლიტიკური პროცესის გავლენა სადაზვერვო პროდუქტზე, როდესაც პრიორიტეტი ენიჭება იმგვარ ინფორმაციას და ანალიზს, რომელიც მეტადაა „მისაღები“

პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის. ამგვარი პრაქტიკა სადაზვერვო ინფორმაციას აცლის ობიექტურობას, რაც პირდაპირ აისახება სახელმწიფოსა და მის ინტერესებზე.

ზედამხედველობა: საქართველო წარმოადგენს ახალგაზრდა, პოსტსაბჭოთა დემოკრატიას. ეს გარემოება ასახულია დემოკრატიულ ინსტიტუტებზე და შესაბამისად სადაზვერვო საზოგადოების ზედამხედველობის სტანდარტებზეც. არსებული მონესრიგება ზოგადი, ბუნდოვანი და ფორმალური ხასიათისაა. პრაქტიკა არ იზიარებს წამყვან დემოკრატიულ გამოცდილებას. სადაზვერვო სამსახურებში არ არსებობს შიდა ინსპექტირების ინსტიტუციები, საპარლამენტო კონტროლი კანონის მიხედვით ზედაპირულია. ნდობის ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობაზე დასაბუთების ხარვეზიანობა, არ იძლევა აპელაციის საშუალებას. ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ვალდებულება კი მხოლოდ სტატისტიკა და ზოგადი მიმოხილვაა პარლამენტის წინაშე. რაც შეეხება პრემიერის ზედამხედველობას სადაზვერვო სისტემაზე, იგი პოლიტიკური დისკუსიის მიღმაა. პოლიტიკური ელიტა მოკლებულია ინფორმაციას, თუ რა პრიორიტეტები არსებობს სახელმწიფოს წინაშე, რამდენად გონივრულია ხელისუფლების მიერ შერჩეული ამოცანები დაზვერვის სისტემისთვის. მაშინ, როდესაც დაზვერვის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების ხელმძღვანელებს პრემიერ-მინისტრი ირჩევს (დაზვერვის შემთხვევაში თავადვე ამტკიცებს), არ ხდება საჯარო შეფასება სადაზვერვო სამსახურების საქმიანობისა, რამდენად ახორციელებენ მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას და სახელმწიფოს უზრუნველყოფას შესაბამისი ინფორმაციითა და ღონისძიებებით. შედეგად, სადაზვერვო სისტემაზე არ არსებობს დემოკრატიული სტანდარტებით ეფექტური ზედამხედველობის ბერკეტები, რაც აჩენს რისკებს, როგორც სამსახურების კანონიერების, ისე მისი ეფექტურობის კუთხით. მართალია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და თავდაცვის სამინისტროში არსებობს

გენერალური ინსპექციის ინსტიტუტი, თუმცა მათი პრაქტიკა განსხვავდება განვითარებული დემოკრატიების გამოცდილებისგან. აღნიშნული ინსპექციების ხელმძღვანელები ინდივიდუალური უწყების ხელმძღვანელების წინაშე არიან პასუხისმგებლები და არა გარე აქტორების მიმართ, უწყების კონტროლის მიზნით.

გამოწვევები

საქართველოს სადაზვერვო სამსახურები არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან, როგორც ინსტიტუციური კუთხით, ასევე სახელმწიფოს გარშემო არსებული ვითარებიდან გამომდინარე.

პირველ რიგში განსახილველია სისტემის შიგნით, ზემოაღნიშნული ის პრობლემები, რომლებიც წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორებს სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ესენია:

- პოლიტიკური გავლენა
- საკადრო პოლიტიკა
- უწყებათაშორისი კოორდინაცია
- საკანონმდებლო ბაზა
- გამჭვირვალობის ნაკლებობა და დემოკრატიული კონტროლის დახურული სისტემები
- ეფექტური ზედამხედველობა

საკადრო პოლიტიკის კუთხით უმნიშვნელოვანესია პირველ რიგში შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელთა დანიშვნის წესის გამართვა. დაზვერვის სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეული მასში შემავალი უწყება ეროვნული ინტერესების დაცვას ემსახურება, რაც თანაბრად მნიშვნელოვანია ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის. აქედან გამომდინარე, თანხმობა ხსენებული უწყებების

ეფექტურობაზე, სახელმწიფო ინტერესის მატარებელია და წარმოადგენს ზეპარტიულ საკითხს. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ხელმძღვანელის ცვლილებას, თან ახლავს მთელი რიგი საკადრო გადაადგილებები სადაზვერვო სამსახურების შიგნით, რაც აისახება უწყებების ეფექტურობაზე. შესაბამისად მნიშვნელოვანია სისტემის თანამშრომელთა გარანტიები სამუშაო ადგილის სტაბილურობის კუთხით, რათა ხელმძღვანელის ცვლილება არ იწვევდეს ხსენებულ მავნე „ტრადიციას“.

დეპოლიტიზირების პროცესში არსებით საჭიროებას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილების ჩამორთმევა. გამოცდილება აჩვენებს, რომ პოლიტიკურ პროცესში, მიუხედავად ხელისუფლებაში პარტიების ცვლილებისა, მუდმივად ისმის კრიტიკა სუს-ის მიმართ მისი პოლიტიკურ მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, რაც ნაკარნახებია იმ სისხლისსამართლებრივი საქმეებით, რომელიც წარმოებულია ხსენებულ უწყებაში. საზოგადოებაში ამ შეფასებებს მოსახლეობის უმეტესობა იზიარებს⁷³. ხელისუფლების მონჯობის სტილიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უწყებებისთვის პრიორიტეტების განსაზღვრაში ჩართული იყოს საპარლამენტო გუნდიც, მთავრობასთან ერთად, როგორც პოზიციის, ისე ოპოზიციის მხრიდან. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს, როგორც საჯარო დისკუსიას სადაზვერვო საზოგადოების ამოცანების მიმართ, ასევე შეიტანს გამჭვირვალობასა და ნდობას უწყებების მიმართ.

მთავარ **ინსტიტუციურ** გამონვევას წარმოადგენს უწყებათაშორისი კოორდინაცია, ვინაიდან მწირი რესურსების პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად შემცირდეს ერთი და იგივე საკითხზე სხვადასხვა სამსახურის მიერ ხარჯის და რესურსის განწევა. ამ კუთხით არსებითია ქმედებითი ინსტიტუტის შექმნა, სადაც სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე მოხდება

⁷³ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საზოგადოებრივი აზრის კვლევა: კორუფცია, ნდობა ინსტიტუტების მიმართ და საჯარო პოლიტიკის საკითხები“, 2018, <https://bit.ly/3nWxWjT>, 20.09.2021

ინფორმაციის გაცვლა სადაზვერვო საზოგადოების შიგნით. ასევე, მოხდება სამსახურებს შორის ინფორმაციის შეჯერება, რაც გააუმჯობესებს სადაზვერვო პროდუქტს. 2008 წლის ომის შემდგომ, აგვისტოს ომის შემსწავლელი კომისიის წინაშე წარდგენისას, დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის განაცხადა⁷⁴, რომ მისი უწყება კონფლიქტის ესკალაციას ელოდა შემოდგომის პერიოდში ხოლო სხვა სადაზვერვო კომპეტენციის უწყებები უფრო ადრე და მისი თქმით, ის უწყებები აღმოჩნდნენ მართლები. 2008 წელს, გენერალური შტაბის უფროსის, ზაზა გოგავას განცხადებით ამავე კომისიის წინაშე, დაზვერვა ესკალაციას ელოდა შემოდგომაზე. 2008 წლის ომის პროგნოზირების მაგალითი, ცხადყოფს ინფორმაციის გაცვლისა და შეჯერების მნიშვნელობას, სადაზვერვო სამსახურებს შორის.

დემოკრატიულ სახელმწიფოში, დაზვერვის სისტემის ეფექტურად სამუშაოდ აუცილებელია გამართული **საკანონმდებლო ბაზა**, რათა ზუსტად იქნას პროცედურულად დადგენილი, როგორც სამსახურის უფლებამოსილებები, მარეგულირებელი ნორმები და სხვა, ასევე არ შეიქმნას გაუკრვევლობა ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის ნაწილში.

სისტემის ინსტიტუციური განვითარებისთვის, არსებითია **გამჭვირვალობა**. ეს არ ეხება მხოლოდ ფინანსურ ნაწილს. სადაზვერვო საზოგადოება, ერთ-ერთ ყველაზე ჩაკეტილ სისტემას წარმოადგენს, რომელთან დაკავშირებითაც მხოლოდ კრიტიკა და ბრალდებები ისმის. მეორე მხრივ, დიალოგი და დისკუსია მნიშვნელოვანია, როგორც ნაკლოვანებების გამოსწორების თვალსაზრისით, ასევე გამჭვირვალობის კუთხით. სადაზვერვო პრიორიტეტებსა და პოლიტიკაში, როგორც თართო პოლიტიკური სპექტრის, ასევე აკადემიური და არასამთავრობო სექტორების ჩართვით, გაიზრდება როგორც გამჭვირვალობა, ასევე ნდობა ხსენებული უწყებებისადმი. გარდა ამისა,

⁷⁴ Civil.ge, “ბეჟუაშვილი აგვისტოს ომის შესახებ პარლამენტის დროებით კომისიას ინფორმაციას აწვდის”, 2008, <https://bit.ly/3EwZ6Ul>, 20.09.2021

ამგვარი ანგარიშვალდებულებით საზოგადოებისა და პოლიტ. ელიტისადმი, გამარტივდება დაფინანსების მიღებაც, თუ დაზვერვის სისტემის წარმომადგენლები დამატურებლად შეძლებენ ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების წარმოჩენას კანონმდებლებისადმი და მოპოვებული ნდობის ხარჯზე მოითხოვენ მათგან დამატებითი, საჭირო რესურსების მიწოდებას.

გარდა ინსტიტუციური დაბრკოლებებისა, არაერთი გამონვევა დგას სადაზვერვო სისტემის წინაშე, რომლებიც სათავეებს იღებენ მტრული სახელმწიფოებისგან და არასახელმწიფო აქტორებიდან საერთაშორისო არენაზე. პირველი და უმთავრესი გამონვევა, ცალსახად რუსეთის ფედერაციის მხრიდან მომდინარეობს. ოკუპაცია და იქ მიმდინარე პროცესები კვლავ უცვლელი გამონვევაა სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორისთვის. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, აქტუალური გახდა ე.წ. „რუსული ჰიბრიდული ომი“, რომელთან გამკლავებაც კიდევ უფრო მეტად მოითხოვს ეფექტურ სადაზვერვო სისტემას, საზოგადოებაში მაღალი ნდობით. ამომრჩეველზე ზემოქმედების მიზნით საინფორმაციო კამპანიები, სხვადასხვა ორგანიზაციების საფარქვეშ მოქმედება და ა.შ. ის მეთოდებია, რომლებიც აქტიურად იქნა გამოყენებული ხსენებული ომის პირობებში სხვადასხვა სახელმწიფოს მიმართ და მათ შორის საქართველოს წინააღმდეგაც მიმდინარეობს⁷⁵. ამ პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა სადაზვერვო სამსახურების როლი, რათა დროულად გამოავლინონ მტრის აქტივობები და გაატარონ შესაბამისი ზომები. აქტიურად მუსირებს⁷⁶ მოსაზრებაც, რომ სადაზვერვო სისტემა აღარაა მხოლოდ ხელისუფლების ინსტრუმენტი პოლიტიკის განხორციელებაში და მას მეტად გააჩნია საზოგადოებრივი ინფორმირების როლი, როგორც რიგითი მოქალაქეების ასევე კერძო სექტორისა.

⁷⁵ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში

⁷⁶ Amy Zegart, Foreign Affairs, *“Intelligence Isn’t Just for Government Anymore”*, 2020, <https://fam.ag/3zw8q6R>, 20.09.2021

გაზრდილი კიბერ საფრთხეების ფონზე, სულ უფრო არსებითი ხდება თანამშრომლობა კერძო სექტორსა და სპეც. სამსახურებს შორის, როგორც სახელმწიფო, ისე ცალკეულ პირთა ჯგუფების მხრიდან. თანამშრომლობა მოიცავს ორმხრივ ურთიერთობას - ერთი მხრივ, სისტემის მიერ ინფორმირების თვალსაზრისით მოსალოდნელ საფრთხეებსა და ტენდენციებზე, ასევე ტექნიკური მხარდაჭერით კერძო სექტორის მხრიდან. ეს უკანასკნელი სულ უფრო აქტუალური ხდება დასავლეთში, ვინაიდან დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრესი მეტად მომდინარეობს კერძო სექტორიდან, რაც სწრაფ გაზიარებას მოითხოვს სადაზვერვო სისტემაში.

2021 წელს, NATO-მ და პარტნიორმა სახელმწიფოებმა, საბოლოოდ დაასრულა მისია ავღანეთში. ადგილობრივი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ძალაუფლება კვლავ თალიბანმა იგდო ხელთ. გარდა ამისა, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში კვლავ გრძელდება ტერორისტული ორგანიზაციების აქტივობები. დისტანციურად, სოციალური ქსელების მეშვეობით ხალხის გადაბირება, ის ერთ-ერთი ნაკლია, რაც ტექნოლოგიურ პროგრესს ახლავს თან. არსებული რეალობით ტერორიზმი კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქართული სახელმწიფოსთვის და შესაბამისად სადაზვერვო საზოგადოებისთვის.

შეზღუდვები

ნებისმიერ სადაზვერვო სისტემას და მათ შორის ქართულსაც, გააჩნია საკუთარი შესაძლებლობების ზღვარი, რომელიც უპირველეს ყოვლისა ფინანსურ სახსრებზე გადის.

ბოლო 3 წლის განმავლობაში დაზვერვის სამსახურის ბიუჯეტი 14 მილიონამდე ლარია. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება 2019 წლიდან 2021

წლამდე 135 მილიონიდან 137.5 მილიონ ლარამდე გაიზარდა. დანახარჯის დაახლოებით 2/3 პრომის ანაზღაურებაზე მოდის. სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ბიუჯეტი უცნობია. არსებული შესაძლებლობები მეტყველებს ლიმიტირებულ რესურსზე, რომელსაც გამოჰყოფს ყოველწლიურად სახელმწიფო სადაზვერვო ინსტიტუტებისთვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, როგორც ცალკეული ღონისძიებები, ასევე აქტიური სადაზვერვო პოლიტიკა მოითხოვს ხარჯებს. შესაბამისად, ხსენებული მოცემულობა არსებით როლს თამაშობს სადაზვერვო პოლიტიკის შერჩევის პროცესში და სადაზვერვო სისტემისთვის ამოცანის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ფინანსური შესაძლებლობები.

საქართველოს სადაზვერვო სამსახურებისთვის კიდევ ერთი ზღვარი საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს წონასა და მის შესაძლებლობებზე გადის, გამოიხსნას მტრული ქვეყნის ტერიტორიაზე ოპერაციის შესაძლო ჩავარდნის შემთხვევაში დაკავებული თანამშრომელი ან ინფორმატორი. გარდა ამისა, გამოაშკარავების შემთხვევაში, შესაძლებელია მკაცრი საპასუხო ნაბიჯები მოჰყვეს როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური კუთხით. გასათვალისწინებელია გამოცდილებაც, რომელიც უკავშირდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაკავებულ ა. ტატუნაშვილს. სახელმწიფომ ვერ შეძლო მისი ცოცხლად დახსნა და მისი ნაწამები ცხედარიც ოფიციალურ თბილისს დაახლოებით ერთ თვეში გადასცეს.

ამგვარი რეალობა აშკარა წითელ ხაზებს ავლებს სადაზვერვო სამსახურის სამოქმედო არეალისა და მეთოდების განსაზღვრისას. აუცილებელია, პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან გათვალისწინებულ იქნას არსებული რეალობა. მეორე მხრივ, სადაზვერვო საქმიანობა რისკის შემცველი დარგია, რომელსაც ახლავს შესაძლო გართულებები. შესაბამისად, პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია რისთვის და რა პოლიტიკური ბერკეტებითაა მზად შესაძლო

გართულებებთან გასამკლავებლად. მიუხედავად ამისა, სადაზვერვო სამსახური და სისტემა, უნდა ფლობდეს საშუალებასა და გეგმებს კრიტიკული ამოცანების შესასრულებლად.

შესაძლებლობები

არსებულ ვითარებაში სადაზვერვო საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ის შესაძლებლობები, რომლებიც გაკრვეულ წილად უპირატესობას აძლევს ქართულ სპეც. სამსახურებს არსებულ საფრთხეებთან გამკლავებასა და საკუთარი ამოცანის შესრულებაში.

ვინაიდან სახელმწიფოს სადაზვერვო უწყებებისთვის მწირი რესურსი გააჩნია, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ოპერაციებში გაზიარებულ იქნას შესაბამისი პრაქტიკა. მხედველობაშია მისაღები ის მიდგომა, რაც ეფექტურად დანერგა ისრაელმა, რომელიც სახელმწიფოს განვითარების საწყის ეტაპზე ისეთივე მდიდარი არ იყო, როგორიც ახლათ. მოსაძმა აქტიურად დაიწყო ისრაელის გარეთ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ისრაელის დიასპორის წევრების დახმარების გამოყენება საერთაშორისო ოპერაციებში. ამგვარ დამხმარე პირებს „საიან-ებს“ (Sayan) უწოდებენ⁷⁷. „საიანი“ წარმოადგენს ისრაელის გარეთ მცხოვრებ ებრაელს, რომელიც ნებაყოფლობით, თანახმაა დახმარება აღმოუჩინოს ისრაელის სადაზვერვო სამსახურს ზედმეტი კითხვების გარეშე. ამგვარი სისტემით, „მოსაძს“ გააჩნია ფუფუნება, დაზოგოს საერთაშორისო ღონისძიებებისთვის გასაწევი რესურსი და ასევე შეამციროს პერსონალის რაოდენობა, რაც დამატებით ათავისუფლებს ხარჯებს.

⁷⁷ Ostorvsky, Victor, Clair Hoy. *The Making and Unmaking of a Mossad Officer by Way of Deception*, New York, NY: St. Martins Press, 1990, 86-87.

2017 წლის მდგომარეობით, 800 ათასზე მეტი ემიგრანტი ჰყავს საქართველოს⁷⁸, რომელთა დიდი ნაწილი, რუსეთსა და ევროპაში ცხოვრობს. გარდა ისრაელის მსგავსი პრაქტიკისა, აღნიშნული მოცემულობა შესაძლებლობად შეიძლება იქნეს განხილული პირთა გადმობირების ან ინფორმაციის მოპოვების კუთხით. მაგალითად კვლავ ისრაელი გამოდგება, რომელიც ინფორმაციას საბჭოთა კავშირის შესახებ, იმიგრირებული ებრალების დაკითხვით აგროვებდა⁷⁹. შესაბამისად ამ კუთხით, საქართველოს ნამდვილად გააჩნია გარკვეული შესაძლებლობები.

კიდევ ერთი პერსპექტიული მიმართულება, რომელიც ეფექტურია მწირი რესურსების პირობებშიც, ხელოვნური ინტელექტი და ღია წყაროებია. სოციალური ქსელების პირობებში, მარტივია მეტადატების შექმნა და ხელოვნური ინტელექტის საშუალებით მათი მოკლე დროში დამუშავება, რაც ეფექტურ და დროულ ინფორმაციას უზრუნველყოფს. ასევე ღია წყაროებში უნდა იქნეს განხილული DarkWeb-ი, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი კორუმპირებულ ქვეყნებში, როგორც რუსეთია. აღნიშნული პლატფორმა დისტანციურად იძლევა საშუალებას მოიპოვო სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული სხვადასხვა ინფორმაცია, რომელიც ვარგისი იქნება როგორც გარკვეული ოპერაციისთვის, ასევე სხვადასხვა წყაროს გადასამოწმებლად და ა.შ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს კიბერ დაზვერვის მზარდი როლი. აღნიშნული დარგი შედარებით ახალია, როგორც ჩვენთვის, ასევე საქართველოს სადაზვერვო სისტემის პოტენციური სამიზნე სახელმწიფოებისთვის. კიბერ ოპერაცია რამდენიმე ასპექტში აღემატება „ტრადიციულ“ მეთოდებს - იგი წარმოებს დაცული ტერიტორიიდან, პირად შემადგენლობას არ ემუქრება საფრთხე ოპერაციის ჩავარდნის შემთხვევაში, საოპერაციო ხარჯს მხოლოდ ინფრასტრუქტურა და ადამიანური

⁷⁸ საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, თბ. 2019, <https://bit.ly/3lJTrRX>, 20.09.2021

⁷⁹ Ostrovsky, Victor, Clair Hoy, 271

რესურსის სოციალური უზრუნველყოფა წარმოადგენს და ა.შ. იმ ლიმიტებისა და გამოწვევების მქონე ქვეყნისთვის, რომლებიც ზემოთ იქნა აღწერილი, კიბერ დაზვერვა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს საქართველოს სადაზვერვო სისტემისთვის. ამ შემთხვევაშიც ისრაელი სამაგალითოა - სადაც დანაყოფი 8200, სკოლის ასაკშივე არჩევს შესაფერის კანდიდატებს მომავალი, კიბერ დაზვერვის ამოცანებისთვის⁸⁰.

კიდევ ერთი აღსანიშნავი შესაძლებლობაა აშშ-სა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა. განსაკუთრებით 2014 წლის შემდგომ, არაერთი შეძლებული ქვეყანაა საერთაშორისო თანამეგობრობაში, რომლისთვისაც რუსეთი მტრული სახელმწიფოა. ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად აუცილებელია ეფექტური სისტემა, რომელიც საერთო ინტერესების ფარგლებში შეძლებს მოიპოვოს პარტნიორისთვის საინტერესო ინფორმაცია და ამ კუთხით იქცეს სანდო პარტნიორად, სანაცვლოდ კი მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია. ამგვარი ურთიერთობის მაგალითი არაერთია სადაზვერვო სამსახურების ისტორიაში.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა ამჟამინდელი საქართველოს სადაზვერვო სისტემის ნაკლოვანებები, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილისა, ეს ეხება როგორც ორგანიზაციულ ასპექტებს, ასევე უწყებების შინაარსობრივ საკითხებს. რაც შეეხება სისტემის როლს მოცემულ რეალობაში - პოლიტ. ელიტის მხრიდან სადაზვერვო უწყებების გამოყენების

⁸⁰ John Reed, Financial Times, "Unit 8200: Israel's cyber spy agency", 2015, <https://on.ft.com/3ArrQvf>, 20.09.2021

ფარგლებში, მეტი ყურადღება ეთმობა შიდა პოლიტიკურ საკითხებს, ვიდრე საერთო, სახელმწიფო საჭიროებებს. სადაზვერვო საზოგადოების მართვა და კონტროლი ატარებს არადემოკრატიულ ნიშნებს და გამორიცხავს როგორც სამოქალაქო კონტროლს, ასევე ოპოზიციის ჩართულობას.

არსებული ნაკლოვანებები კიდევ უფრო არსებითი ხდება იმ გამოწვევების ფონზე, რომელიც დგას საქართველოს სახელმწიფოს წინაშე. შესაბამისად ქვეყნისთვის კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ქმედითუნარიანი სისტემის უზრუნველყოფა, რათა დაცულ იქნეს ეროვნული უსაფრთხოება და სახელმწიფოს ინტერესები.

შესაბამისად, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა პირველ უნდობლობისა და არასტაბილურობის სადაზვერვო სისტემის მიმართ. აქედან გამომდინარე არსებითია ორგანიზაციული ცვლილებების გატარება საკადრო პოლიტიკის კუთხით, პირადი შემადგენლობის პოზიციაზე სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და კარიერული წინსვლისთვის. ამასთან, აუცილებელია დემოკრატიული სტანდარტების გაღრმავება უწყებებში - ხელმძღვანელების დანიშვნის წესისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, აგრეთვე არასამთავრობო და ოპოზიციური სპექტრის ჩართვა სადაზვერვო პოლიტიკის დაგეგმვასა და კონტროლში, რათა გაიზარდოს სამოქალაქო კონტროლი და შესაბამისად ნდობა სპეც. სამსახურების მიმართ. საკანონმდებლო ხარვეზების კუთხით, მნიშვნელოვანია გაორებული მართვისა და პასუხისმგებლობის გაორებული სისტემის გამოსწორება, ასევე, საკანონმდებლო ბაზის გამართვა და ქმედითი მექანიზმების შექმნა უწყებათაშორისი კოორდინაციის მიმართულებით.

მიუხედავად გამოწვევების მასშტაბებისა და ლიმიტირებული შესაძლებლობებისა, როგორც ზემოთ იქნა განხილული, საქართველოს სადაზვერვო სისტემას, გააჩნია არაერთი შესაძლებლობა უზრუნველყოს საკუთარი ამოცანების მიღწევა და დარჩეს დემოკრატიული სტანდარტების ფარგლებში.

ამისთვის აუცილებელია სადაზვერვო სამსახურებისთვის ზუსტად და მკაფიოდ განისაზღვროს მათი როლი დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის პროცესში და უზრუნველყოფილ იქნას მისი სანდოობა. აღნიშნული პროცესი ატარებს პოლიტიკურ შინაარსს და შესაბამისად მოითხოვს საზოგადოების ყველა შესაბამისი სექტორის ჩართვას სადაზვერვო პოლიტიკის განსაზღვრაში. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს სადაზვერვო სისტემის სტაბილურობასა და ქმედუნარიანობას. ზემოხსენებულ პროცესში საკუთარი ადგილი გააჩნია აკადემიურ სივრცეს, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს მოცემული ნაშრომი.

ბიბლიოგრაფია

ბორნი, ჰანს, აიდან უილსი. *დაზვერვის სამსახურებზე გედამხედველობის განხორციელება*. რედ.: აგინკორტ პრესი. უენევა: შეიარაღებული ძალების

დემოკრატიული კონტროლის უენევის ცენტრი. 2012.
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საზოგადოებრივი აზრის
კვლევა: კორუფცია, ნდობა ინსტიტუტების მიმართ და საქარო პოლიტიკის
საკითხები“, 2018, <https://bit.ly/3nWxWjT>, (20.09.2021)

საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო
კომისია, თბ. 2019, <https://bit.ly/3IJTrRX>, (20.09.2021)

საქართველოს დაზვერვის სამსახური, <https://bit.ly/2Z6vHzQ>, (20.09.2021)

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. თბ. 2011, <https://bit.ly/39I3eID>,
(20.09.2021)

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, 2020, <https://bit.ly/2XJmM75>,
(20.09.2021)

საქართველოს პროკურატურა, 2020, <https://bit.ly/3tUi5mA>, (20.09.2021)

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, 2021), <https://bit.ly/3CpQX1O>,
(20.09.2021)

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, <https://bit.ly/3EAJz5W>,
(20.09.2021)

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2020 –
31.12.2020, 2021, <https://bit.ly/3lLu5TI>, (20.09.2021)

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, 2017, <https://bit.ly/2XN3XQq>, (20.09.2021)

ხვადაგიანი, დავით, *პირველი რესპუბლიკის უსაფრთხოების სამსახურები*, 2019,
<https://bit.ly/3CsX0mq>, (20.09.2021)

სუნ-ძი, *ომის ხელოვნება*. მთარგმნ.: ი. აბულაშვილი, რედ.: ნ. ელიზბარაშვილი.
თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007.

შურლუღია, თორნიკე. *ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები*. რედ.: თ.
შურლუღია. თბილისი: უნივერსალი. 2013

Andersen, Ross. The Atlantic, September 2020, <https://bit.ly/3u4fXZO>, (20.09.2021)

Bellingcat, “*Hunting the Hunters: How We Identified Navalny's FSB Stalkers*”, 2020, <https://bit.ly/3AtD6af>, (20.09.2021)

Bellingcat, 2021), <https://bit.ly/3EE2Bli>, (20.09.2021)

Cupcea, George. *SPECULATORES IN DACIA. MISSIONS AND CAREERS, 2008*, <https://bit.ly/3AtLsP9>, (20.09.2021)

Davies Philip H. J., *Ideas of Intelligence: Divergent National Concepts and Institutions, Harvard International Review Vol. 22, No. 3 (Fall 2002): 62-66*

Delew Christopher, *The Bureau of Military Intelligence in The Chancellorsville Campaign, MA, American Military University, 2017*, <https://bit.ly/2Zgysij> (20.09.2021)

Dziak, John j. *Chekisty: A History of the KGB*. Lexington: Lexington Books, 1987.

Grill, Peter. *The Oxford Handbook of National Security Intelligence*. Edit.: Johnson K. Loch. Oxford: Oxford university press, 2010

Herman, Michael. *Intelligence power in peace and war*. Cambridge: Cambridge University Press, 1999.

Holloway, Michael. Stanford University, “*Stuxnet Worm Attack on Iranian Nuclear Facilities*”, Winter 2015, <https://stanford.io/3AmSTHX>, (20.09.2021)

Hulnick, Arthur S., *The Oxford Handbook of National Security Intelligence, Edit.: Johnson K. Loch (Oxford, Oxford University Press, 2010)*

Israel Ministry of Foreign Affairs, 2017, <https://bit.ly/3zqAnNB> (20.09.2021)

Israeli Security Agency, 2020, <https://bit.ly/2XzLfLD> (20.09.2021)

Jefferson, Morley. *The Ghost*. New York, NY: St. Martins Press, 2017.

Lowenthal, Mark M. *Intelligence: From Secrets to Policy*. Washington D.C.: CQ Press, 2008.

Office of Naval Intelligence, <https://bit.ly/3nQZarT> (20.09.2021)

Office of the Director of National Intelligence, 2020, <https://bit.ly/2XAklnb>, (20.09.2021)

Pringle, Robert W., *KGB. Encyclopedia Britannica*, March 2, 2021), <https://bit.ly/3IAY6FK>
(20.09.2021)

Statista Research Department. *Social media - Statistics & Facts*. 2021, <https://bit.ly/39kxyTt>,
(20.09.2021)

U.S. Department Of The Treasury, 2015, <https://bit.ly/3ELr9zs>, (20.09.2021)

U.S. Intelligence Community, 2020, <https://bit.ly/2XH518B>, (20.09.2021)

Герасимов Валерий, Ценность науки в предвидении. Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий; Военно-Промышленный Курьер, 26 февраля 2013 <https://vpk-news.ru/articles/14632>,
(20.09.2021)

სხვა ინტერნეტრესურსები

აჭარის ტელევიზია, „ფოტოგრაფების საქმე - ჯაშუშობაში ბრალდებულები სასამართლომ გაამართლა“, 2018, <https://bit.ly/3hPSJSd>, (20.09.2021)

ბატიაშვილი, ზურაბ. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2020, <https://bit.ly/3zuSSjQ>, (20.09.2021)

კვახაძე, ალექსანდრე. სპეცოპერაცია ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე და მისი შედეგები, <https://bit.ly/3nRzJ9O> (20.09.2021)

პირველი არხი, „ვახტანგ გომელაური არ გამოირიცხავს, რომ სპეცოპერაციის დროს მოკლული პირი შესაძლოა, აჰმედ ჩატაევი იყოს“, 2017, <https://bit.ly/3lO30Qa>,
(20.09.2021)

Civil.ge, „ფოტოგრაფების საქმე შესაძლოა საპროცესო შეთანხმებით დასრულდეს“, 2011, <https://bit.ly/3koxkRz>, (20.09.2021)

- Civil.ge, “ჯაშუების” საქმეზე 4 რუსეთის და 9 საქართველოს მოქალაქეა დაკავებული”, 2010, <https://bit.ly/3CvW2Gc>, (20.09.2021)
- Civil.ge, “ბეჟუაშვილი აგვისტოს ომის შესახებ პარლამენტის დროებით კომისიას ინტერმაციას აწვდის”, 2008, <https://bit.ly/3EwZ6Ul>, (20.09.2021)
- Civil.ge, “თბილისის განცხადებით, გორის ტერაქტის უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან”, 2005 <https://bit.ly/3ksqOcs>, (20.09.2021)
- Civil.ge, “ომის შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიამ გაერთიანებული შტაბის უფროსს მოუსმინა”, 2008, <https://bit.ly/2XBCrow>, (20.09.2021)
- Civil.ge, “ოქრუაშვილი: ეს კარგად ორგანიზებული ტერაქტი იყო”, 2005, <https://bit.ly/3CpFAHa>, (20.09.2021)
- Civil.ge, “საკაშვილი პარლამენტს მისი ვეტოს დაძლევის გამო აკრიტიკებს” 2012, <https://bit.ly/3lKO6d8>, (20.09.2021)
- Hosenball, Mark, Reuters, “Russia used social media for widespread meddling in U.S. politics: reports”, 2018, <https://reut.rs/2XGj0LK>, (20.09.2021)
- Miklaszewski, Jim & Alex Johnson, NBC News, “Officials: China Suspected of U.S. Data Breach Affecting Millions”, 2015, <https://nbcnews.to/3hSYXAS>, (20.09.2021)
- Nakashima, Ellen & Craig Timberg, The Washington Post, “Russian government hackers are behind a broad espionage campaign that has compromised U.S. agencies, including Treasury and Commerce”, 2020, <https://wapo.st/2XBcC8P>, (20.09.2021)
- Nakashima Ellen & Joby Warrick, The Washington Post, “Stuxnet was work of U.S. and Israeli experts, officials say” June 2 2012, <https://wapo.st/3zCaTgt>, (20.09.2021)
- Nemtsova Anna, Daily Beast, “Mastermind of Istanbul Airport Attack Had Been Georgian Informant, Official Says”, 2016, <https://bit.ly/3knB8ma>, (20.09.2021)
- Ostorvsky, Victor, Clair Hoy. *The Making and Unmaking of a Mossad Officer by Way of Deception*. New York, NY: St. Martins Press.

- Perlroth, Nicole. The New York Times, “*How China Transformed Into a Prime Cyber Threat to the U.S.*”, 2021), <https://nyti.ms/3nRHgOg>, (20.09.2021)
- Reed, John. Financial Times, “*Unit 8200: Israel’s cyber spy agency*”, 2015, <https://on.ft.com/3ArrQvf>, (20.09.2021)
- Tidy, Joe. BBC, “*SolarWinds hack: Russian denial ‘unconvincing’*”, 2021), <https://bbc.in/3AtJChd>, (20.09.2021)
- Volz, Dustin, The Wall Street Journal, “*In Punishing Russia for SolarWinds, Biden Upends U.S. Convention on Cyber Espionage*, 2021), <https://on.wsj.com/39jByUu>, (20.09.2021)